ჰეზბოლა

აღწერითი კვლევა

GCSD TRC

ჰეზბოლა - აღწერითი კვლევა

ავტორი: ბექა ფარსადანიშვილი

თბილისი
2020

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

აბსტრაქტი

ჰეზბოლა წარმოადგენს ლიბანის ტერიტორიაზე 1985 წელს დაფუძნებულ ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელიც არა მხოლოდ ლიბანის, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ამინდზე ახდენს გავლენას.

ჰეზბოლას კვლევა მეტად საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, მოცემული ორგანიზაცია თავისი სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენს დიდ საფრთხეს საერთაშორისო საზოგადოებისათვის. გარდა იმისა, რომ ჰეზბოლა დღეისათვის ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციად ითვლება, მისი სამხედრო პოტენციალი ლიბანზე დიდია, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ პარა მილიტარისტული ფრთის გარდა ჰეზბოლას პოლიტიკური ფრთაც აქვს, რომელსაც 14 მანდატი აქვს ლიბანის პარლამენტში რაც ვეტოს უფლებას ითვალისწინებს, იგი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს რეგიონის სტაბილურობისათვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰეზბოლა შეგვიძლია ერთგვარ „ინოვატორადაც“ კი მივიჩნიოთ ტერორისტული ტაქტიკების შემუშავებაში, რაც გულისხმობს იმას, რომ მოცემული ორგანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ პირველს ე.წ suicide bombing საბრძოლო სტრატეგიით. არანაკლებ საინტერესოა ჰეზბოლას, როგორც ტერორისტული ორგანიზაციის იდეოლოგიაც, რომელიც არათუ ერთი არამედ რამდენიმე იდეოლოგიის კომპილაციას წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ჰეზბოლას ისტორია, მისი იდეოლოგიური საფუძვლები, ორგანიზაციული სტრუქტურა, ეკონომიკა, სამხედრო სიმძლავრე და ტერორისტული აქტების განხორციელების ტაქტიკები. გამომდინარე იქიდან, რომ ჰეზბოლას პოლიტიკური ფრთის მიმართ არ არსებობს ცალსახა პოზიცია, მეტი სიზუსტისათვის ნაშრომში ასევე მოწოდებულია ცნობები მისი პოლიტიკური ფრთის შესახებაც.

აბრევიატურები

IDF - ისრაელის თავდაცვის ძალები

IJO - ისლამური ჯიჰადის ორგანიზაცია

PLO - პალესტინის გამანთავისუფლებელი არმია

ANO - აბუ ნიდალის ორგანიზაცია

OBB- სამხედრო ოპერაცია Blue Bat

CBA- ხარჯი-სარგებლიანობის ანალიზი

FTO – უცხოური ტერორისტული ორგანიზაცია

TA2000 -Terrorism Act 2000

AOR - ოპერირებისა და პასუხისმგებლობის რეგიონები

oDS - სამხედრო ოპერაცია Defensive Shield

TWA – Trans World Airlines (ავიახაზები)

U.S.AF – ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები

სარჩევი

1.1 „დროითი წრფივის“ მოდელის როლი ტერორისტული ორგანიზაციის კვლევაში 6

1.2 ლიბანის სამოქალაქო ომისა და ჰეზბოლას ფორმირება „კონფლიქტის სტადიების“ დროით წრფივზე 7

1.2.1 1958 წლის პოლიტიკური კრიზისი ლიბანში და პან-არაბული ძალების გააქტიურება 8

1.2.2 IDF-ის მიერ ლიბანის სამხრეთ რეგიონის ოკუპაცია და ჯიჰადისტურ ჯგუფთა კონსოლიდაცია 9

1.2.3 „მკვდარი წერტილი“ ლიბანის სამოქალაქო ომში, ინტიფადა და 1985 წლის მანიფესტი 10

1.2.4 თანამშრომლობიდან კონკურენციამდე - ბრძოლა ბეირუთისთვის 12

1.2.5 ჰეზბოლას ტრანსფორმაცია ლიბანის სამოქალაქო ომის შემდეგ 13

2. ჰეზბოლას იდეოლოგიის კომპილაციური ხასიათი 15

2.1 ანტი-სიონიზმი და ანტი-იმპერიალიზმი 15

2.2 ხომეინიზმი და შიიტური რადიკალიზმი 16

2.3 იდეოლოგიის როლი სხვა ტერორისტული ორგანიზაციიების მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრაში 17

2.4 იდეოლოგიური პროპაგანდის იარაღები 17

3. ჰეზბოლას ორგანიზაციული მოწყობა 19

3.1 სურას საბჭო 19

3.1.1 ცენტრალური საბჭო/ცენტრალური კომიტეტი 21

3.1.2 პოლიტიკური და ადმინისტრაციული აპარატი 21

3.1.3 სამხედრო და უსაფრთხოების აპარატი 23

4. პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო მაჩვენებლები 24

4.1 ჰეზბოლას პოლიტიკური პროფილი 24

4.1.1 ჰეზბოლას მანდატი ლიბანის პარლამენტში 24

4.1.2 ჰეზბოლას საგარეო ურთიერთობები 25

4.2 ტერორიზმის ეკონომიკა 30

4.2.1 ჰეზბოლას საშინაო და საგარეო დაფინანსების წყაროები 31

4.2.2 ჰეზბოლა - ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაცია 35

4.3 „სახელმწიფო - სახელმწიფოში“ - ჰეზბოლას სამხედრო სიმძლავრე 36

5. სამხედრო აქტივობა, ტერორისტული აქტების მოწყობის ტაქტიკები და სტრატეგია. განხორციელებული ტერორისტული აქტები 39

5.1 ჰეზბოლას სამხედრო აქტივობა ლიბანს გარეთ 39

5.2 ტერორისტული აქტების სამიზნის შერჩევის პოლიტიკა 41

5.3 ტერორისტული აქტების განხორციელების ძირითადი ტაქტიკები - ჰეზბოლა როგორც „ინოვატორი“ 42

5.4 განხორციელებული ტერორისტული აქტები 43

6. ჰეზბოლასთან ბრძოლის სტრატეგიები და საერთაშორისო გამოცდილება 48

6.1 ჩრდილოვანი ომის გამოცდილება 48

6.2 პირდაპირი და არაპირდაპირი ბრძოლა რბილი ძალის გამოყენებით 49

7. ჰეზბოლა სამომავლო პერსპექტივა - სხვადასხვა მოსაზრებები 50

დასკვნა 51

გამოყენებული ლიტერატურა 52

1. შესავალი

ჰეზბოლას ორგანიზაციული განვითარების დროითი წრფივის მოდელი

წინამდებარე პარაგრაფი მიზნად ისახავს მოკლე ისტორიული დისკურსის ფარგლებში ასახოს ჰეზბოლას ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბების ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ ჰეზბოლას ოფიციალურ დაფუძნების თარიღად 1985 წელი ითვლება, ორგანიზაციის შექმნის მამოტივირებელი ფაქტორები და მისი სტრუქტურული განვითარების დინამიკა კიდევ უფრო ადრე უნდა ვეძიოთ. ამრიგად, მოცემულ პარაგრაფში განსაზღვრული იქნება ის გეოპოლიტიკური პროცესები, რომელიც მიმდინარეობდა ახლო აღმოსავლეთში მეოცე საუკუნის 80-იან წლებში და რომელმაც განაპირობა ჰეზბოლას ლიბანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბება.

1.1 „დროითი წრფივის“ მოდელის როლი ტერორისტული ორგანიზაციის კვლევაში

მოცემული პარაგრაფის მიზნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია ჰეზბოლას ჩამოყალიბების ისტორიისა და სპეციფიკის აღწერისათვის გამოვიყენო კონფლიქტური სიტუაციების განვითარების „დროითი წრფივის“, კერძოდ „კონფლიქტების სტადიის“ სივრცითი მდოელი, რაც არამარტო დაგვეხმარება უკეთ განვსაზღვროთ ჰეზბოლას ჩამოყალიბებისა და განვითარების მამოძრავებელი ფაქტორები, არამედ მოგვცემს ვიზუალური რეპრეზენტაციის საშუალებასაც.

წინამდებარე ნაშრომში ნაშრომში ლიბანის სამოქალაქო ომის აღწერისას[1], რომელიც რამდენიმე ეტაპადაა დაყოფილი, გამოყენებული იქნება ე.წ „კონფლიქტის სტადიების“ მოდელი. ეს მოდელი თავის მხრივ 5 ფაზისაგან შედგება: „წინაკონფლიქტური“, „კონფლიქტური“, „კრიზისი“, „დასარული“ და „პოსტკონფლიქტური“. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ორი პროცესი ერთდროულად

[1] იგულისხმება 1975-1990 წლების სამოქალაქო ომი

მიმდინარეობდა, მოცმეული ფაზების გამოყენებით შესაძლებელია როგორც ლიბანის სამოქალაქო ომის, ასევე ჰეზბოლას ორგანიზაციული განვითარების პროცესის ერთდროულად შესწავლა.

1.2 ლიბანის სამოქალაქო ომისა და ჰეზბოლას ფორმირება „კონფლიქტის სტადიების“ დროით წრფივზე

როგორც უკვე ითქვა, „კონფლიქტის სტადიების“ წრფივი 5 ეტაპს გამოჰყოფს.[2] წინამდებარე პარაგრაფში მოცემული ეტაპები მორგებულია ერთდროულად ლიბანის სამოქალაქო ომსა და ჰეზბოლას ფორმირებაზე. ეს განპირობებულია იმით, რომ ჰეზბოლას ფორმირება არამხოლოდ ლიბანის სამოქალაქო ომის დროს, უფრო მეტიც ორგანიზაციის ფორმირების სტადიები ემთხვეოდა ტერორისტული ორგანიზაციის ფორმირების სხვადასხვა ეტაპებს. ამრიგად საჭიროა კონფლიქტის სტადიების ფაზები ერთდროულად შევუსაბამოთ ლიბანის სამოქალაქო ომსა და ჰეზბოლას ფორმირების პროცესს, რაც ვიზუალურად შემდეგი სახით გამოიყურება.



[2] მოცემულ პარაგრაფში ფაზების ასასახად „დროითი წრფივის“ მოდელზე გამოყენებულია შემდეგი აბრევიატურები:
წინაკონფლიქტური - ფ.1 (ფაზა 1)
კონფრონტაცია - ფ.2 (ფაზა 2)
კრიზისი - ფ.3 (ფაზა 3)
დასასრული - ფ.4 (ფაზა 4)
პოსტკონფლიქტური - ფ.5 (ფაზა 5)

1.2.1 1958 წლის პოლიტიკური კრიზისი ლიბანში და პან-არაბული ძალების გააქტიურება

დღეისათვის, ჰეზბოლას ოფიციალურად ჩამოყალიბების თარიღად 1985 წელია მიჩნეული, როდესაც ორგანიზაციამ გამოსცა მანიფესტი, სადაც მოცემული იყო ცნობები ორგანიზაციის მიზნებისა და იდეოლოგიის შესახებ. თუმცა, მიმაჩნია, რომ ჰეზბოლას ფორმირების ისტორია გაცილებით უფრო ადრე, 1958 წლის პოლიტიკური კრიზისით იწყება. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ 1958 წელს არსებობდა ჰეზბოლას იდეა, არამედ იმას, რომ მოცემულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ჰეზბოლას ფორმირების იდეის გაჩენას.

1948 წლამდე, ლიბანის დემოგრაფიული სურათით, ქვეყანაში 3 რელიგიური ჯგუფი არსებობდა: მარონიტი ქრისტიანები(სწორედ მარონიტი ქრისტიანები მართავდნენ ლიბანს ამ პერიოდისათვის)[3], სუნიტი მუსლიმები და უმცირესობაში მყოფი, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები, შიიტი მუსლიმები. 1948 წელს, ისრაელის ჩამოყალიბების შემდეგ, ლიბანის ტერიტორიაზე მოხდა პალესტინელ დევნილთა მასიური იმიგრაცია, რამაც დემოგრაფიული მდგომარეობა მუსლიმების სასარგებლოდ შეცვალა.[4] ამრიგად, დემოგრაფიულად და პოლიტიკურად მოხდა ქვეყნის ორ გავლენის სფეროდ გაყოფა. ქვეყნის დასავლეთ ნაწილს მარონიტები, ხოლო დანარჩენი ლიბანის ტერიტორიას პან-არაბული ძალები მართავდნენ.

1958 წელს ეგვიპტისა და სირიის შეთანხმების საფუძველზე შექმნილი გაერთიანებული არაბული რესპუბლიკა ლიბანური პან-არაბული ძალებისათვის საინტერესო ერთეული აღმოჩნდა გაწევრიანების თვალსაზრისით, თუმცა მოცემულ

---

[3] აღსანიშნავია, რომ დღემდე კონვენციურად ლიბანის პრეზიდენტი მარონიტი ქრისტიანი უნდა იყოს. ^^ Parliament of Lebanon (1926); *Constitution of Lebanon .* https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/lb/lb018en.pdf ინტერნეტი ბოლო ნახვა 14 სექტემბერი, 2020წელი.

[4] n,d. ,AlJazeera (2017). *The Nakba Did Not Start Or End In 1948. AlJazeera Online;* https://www.aljazeera.com/features/2017/5/23/the-nakba-did-not-start-or-end-in-1948 ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 15 სექტემბეირ, 2020 წელი.

წინადადებაზე უარს ამბობდნენ ლიბანელი ქრისტიანები და მხარს უჭერდნენ დასავლეთთან კავშირს. მუსლიმთა გამოსვლების საპასუხოდ, ლიბანის პრეზიდენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებს სთხოვა დახმარება და შემუშავებული იქნა სამხედრო ოპერაცია *OBB (Operation Blue Bat),* რომელიც შეიძლება ითქვას ეიზენჰაუერის დოქტრინის ერთ-ერთი განხორციელების ერთ-ერთი ადრეული შესაძლებლობა იყო, რადგანაც პან-არაბულ ძალებს პირველ რიგში საბჭოთა კავშირი უმაგრებდა ზურგს. [5]

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კონფლიქტი 1958 წლის 22 სექტემბერს „მეგობრული პარლამენტის“ ჩამოყალიბებით დასრულდა, შეიძლება ითქვას, ჰეზბოლას საფუძვლები ან მისი ჩამოყალიბებისათვის ნიადაგის მომზადება ლიბანის სამხრეთით და მის 1985 წლის მანიფესტში აშშ, როგორც „კოლონისტის“ მიმართ დაფიქსირებული წინააღმდეგობა, სწორედ ლიბანის 1958 წლის კრიზისიდან იღებს სათავეს.

1.2.2 IDF-ის მიერ ლიბანის სამხრეთ რეგიონის ოკუპაცია და ჯიჰადისტურ ჯგუფთა კონსოლიდაცია

ჰეზბოლას ჩამოყალიბების მეორე ეტაპად და ერთ-ერთ ყველაზე დიდ მამოტივირებელ ფაქტორად შეგვიძლია თამამად დავასახელოთ ლიბანის სამოქალაქო ომი (1975-1990), უფრო კონკრეტულად კი, ისრაელის ჩართულობა მოცემულ სამოქალაქო ომში. ისრაელის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა, ეჰუდ ბარაკმა, განაცხადა რომ IDF 1982 წლის ინტერვენციის დროს სამხრეთ ლიბანში ჰეზბოლა არ არსებობდა და აქ ჯიჰადისტური მოძრაობები მხოლოდ ისრაელის ინტერვენციის შედეგად გაჩნდა.[6] ამრიგად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ 1982 წლის სამხრეთ ლიბანში ინტერვენციის ფონზე შიიტურ ჯგუფთა კონსოლიდაცია, რაც ჰეზბოლას ჩამოყალიბების პირველ ეტაპს წარმოადგენს.

---

[5] Jaquith, B.A (2019). *Operation Blue Bat (1958): Framing Activities in Crisis Response. A Monograph by Major Brian A. Jaquith. US Marine Corps.* Fort Leavensworth: School of Advanced Military Studies; US Army Command and General Staff College.

[6] Norton, A. (2009). *Hezbollah A Short History.* Princeton: Princeton Unviersity Press. გვ. 33

ლიბანის სამოქალაქო ომის დაწყებიდან, 1975 წელს, მოხდა დიდი რაოდენობის PLO-ის მებრძოლთა კონცენტრაცია ლიბანის სამხრეთ რეგიონებში. ამის საპასუხოდ ისრაელის თავდაცვის ძალებმა, 1982 წლის 6 ივნისს განახორციელეს სამხედრო ოპერაცია, Peace for Galilee, და ლიბანელ ქრისტიანთა დახმარებით მოახდინა ლიბანის სამხრეთ ნაწილების დაკავება.[7] მოცემული ინტერვენციის მიზეზად ისრაელის მხრიდან ANO-ს მიერ ისრაელის დიპლომატის, შლომო არგოვის, მკლელობის მცდელობა დასახელდა.[8] ისრაელის მიერ ბეირუთის წარმატებული ალყის შემდეგ მოხდა PLO-ს რელოკაცია ტრიპოლში. [9]

მიუხედავად ისარელის გამოსვლისა ლიბანის სამხრეთ ნაწილებიდან 1982 წლისათვის, უნდა ითქვას, რომ მეორე ეტაპი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჯიჰადისტური შიიტური დაჯგუფებების კონსოლიდაციისათვის, რადგანაც მოხდა ამ ჯგუფთა ერთი მტრის, ისრაელის წინააღმდეგ გაერთიანება. საინტერესოა, რომ მოცემული ჯგუფები სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ ლიბანის პოლიტიკის ფორმირებაში 1982 წლიდან და 1985 წელს ისინი ყალიბდებიან ტერორისტულ ორგანიზაცია - ჰეზბოლადაც.

1.2.3 „მკვდარი წერტილი“ ლიბანის სამოქალაქო ომში, ინტიფადა და 1985 წლის მანიფესტი

„მკვდარი წერტილი“ კონფლიქტოლოგიაში მოიაზრება კონფლიქტის სტადიად, რომლის დროსაც კონფლიქტის მხარეები CBA-ის საშუალებით ხვდებიან, რომ ვეღარ მოხდება პოზიციების გაუმჯობესება და მხარეები იწყებენ კონფლიქტის გადაწყვეტაზე ფიქრს. ამრიგად, 1985 წელი ლიბანის სამოქალაქო ომში ორმხრივ არის მნიშვნელოვანი:

---

[7] Ministry of Foreign Affairs of Israel (1982). *Operation Peace for Galilee.* https://mfa.gov.il/MFA/AboutIsrael/Maps/Pages/Operation-Peace-for-Galilee.aspx ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 17 სექტემბერი, 2020 წელი.

[8] ^^ იქვე
[9] ^^ იქვე

სწორედ ამ დროს სრულდება ისრაელის საბოლოოდ გასვლა ლიბანის სამოქალაქო კონფლქიტიდან. მეორეს მხრივ კი, ჯიჰადისტური შიიტური დაჯგუფებების კონსოლიდაციის პროცესი დასასრულს უახლოვდება და ლიბანის სამხრეთით 1985 წელს ოფიციალურად იქმნება ტერორისტული ორგანიზაცია, ჰეზბოლა, რომელიც ამავე წელს გამოსცემს თავის მანიფესტს. განვიხილოთ თითოეული ეს პროცესი.

1982 წელს, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 509-ის ბრძანებით, IDF-ის მიერ სამხრეთ ლიბანის დატოვების შემდეგ, სიტუაცია ერთი შეხედვით თითქოს დასტაბილურდა.[10] თუმცა, მეორეს მხრივ მიმდინარეობდა პროცესები, რომლებიც ხელს უწყობდა ჰეზბოლას ფორმირებას. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესს წარმოადგენს 1984 წლის 6 თებერვლის ინტიფადა, რომელმაც დასავლეთ ბეირუთში არამხოლოდ იარაღის უკანონო გავრცელებას შეუწყო, ხელი არამედ ეს რეგიონი ადგილობრივი ბანდების დაპირისპირების არეალად გადააქცია.

ამ პროცესების პარალელურად 1985 წელს ლიბანის სამხრეთ ნაწილში ჯიჰადისტური ჯგუფების კონსოლიდაციის პროცესის დასრულების შედეგად და ირანის დაფინანსებით, შეიქმნა ორგანიზაცია ჰეზბოლა, რომელმაც მიზნად დაისახა ამერიკელებისა და ფრანგების განდევნა ლიბანის მიწებისგან და ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლა. ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ ცენტრალური ხელისუფლება დასუსტებული იყო გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა 1985 წლიდან ორ ძირითად შიიტურ დაჯგუფებას, ამალის მოძრაობასა და ჰეზბოლას შორის გაჩაღდა.

ამრიგად, ლიბანის სამოქალაქო ომი შეიძლება ითქვას, გადადის კონფლიქტის დასრულების ფაზაში, იმ ლოგიკით, რომ იგი საერთაშორისო კონფლიქტის ხასიათიდან, რომელშიც ჩართულია ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი და გაერო, გადადის ლოკალურ, დაჯგუფებებს შორის კავშირში. შეიძლება ითქვას, 1985

[10] United Nations Security Council (1982) *Resolution 509.* UNSCR Online. http://unscr.com/en/resolutions/doc/509 ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 20 სექტემბერი, 2020 წელი.

წელი წარმოადგენს „მკვდარ წერტილს“ გარე აქტორებისათის, ხოლო ფორმირების დასასრულს ჰეზბოლასათვის.

1.2.4 თანამშრომლობიდან კონკურენციამდე - ბრძოლა ბეირუთისთვის

ლიბანის სამოქალაქო ომის მეოთხე ფაზა, რომელსაც ლიბანში „ძმების ომსაც“ კი უწოდებენ, 1986 წლიდან მიმდინარეობდა და წარმოადგენდა დაპირისპირებას ლიბანის ორ ძირითად შიიტური დაჯგუფებას, ამალის მოძრაობასა და ახლად ფორმირებულ ჰეზბოლას შორის.

საინტერესოა, რომ მოცემული ორგანიზაციები, ჰეზბოლაც და ამალის მოძრაობაც, არამარტო სარგებლობენ საერთო რეგიონული კავშირებით, არამედ თანამშრომლობდნენ 1982-1983 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა ფუნდამენტური განსხვავება მოცემულ ჯგუფებს შორის მაინც არსებობს, რამაც სურვილთან ერთად მოეპოვებინათ მეტი გავლენა ლიბანში, დააპირისპირა მოცემული ჯგუფები.

ამალისა და ჰეზბოლას შორის შორის არსებულ განსხვავებებზე საუბრისას პირველ რიგში უნდა ვახსენოთ დამოკიდებულება PLO-ს მიმართ. სირია, რომელიც PLO-ის წინააღმდეგ გამოდიოდა და ზურგს უმაგრებდა ამალს 1984-1988 წლამდე გამალებით იბრძოდა PLO-ს წინააღმდეგ ამალის მოძრაობის საშუალებით. მოცემული ომის დასრულებისაკენ შემდეგ კი, რამაც ჰეზბოლა ამალის ფაქტიურად საბოლოო კონკურენტად აქცია, 1988 წელს დაიწყო დაპირისპირება მოცემულ ბანაკებს შორის. მოცემული ბრზოლის მიზანი ბეირუთსა და სამხრეთ ლიბანზე გავლენების გაფართოება/მოპოვება იყო.

მოცემული ეტაპი არამარტო ლიბანის სამოქალაქო ომისთვის აღმოჩნდა საბოლოო, არამედ ჰეზბოლასთვის უმნიშვნელოვანესი, რადგან სწორედ ამ ეტაპიდან

იწყება ჰეზბოლას ტრანსფორმაცია, რაც შედეგია ლოგიკური დასკვნისა, რომ მხოლოდ ტერორისტული აქტივობით იგი ვერ მიაღწევდა საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს.

1.2.5 ჰეზბოლას ტრანსფორმაცია ლიბანის სამოქალაქო ომის შემდეგ

ლიბანის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, რომელიც 1990 წელს სირიისა და ირანის ინტენსიური მედიაციის საშუალებით მოხდა, ჰეზბოლაში დაიწყო რესტრუქტურიზაციის ტალღა, რაც გულისხმობდა ორგანიზაციის მიერ არამხოლოდ ტერორისტული აქტივობის და ბრძოლის ტაქტიკების დახვეწას, არამედ ინსტიტუციურ განვითარებასაც. ჰეზბოლასათვის აშკარა გახდა, რომ პოლიტიკური მიზნების განხორციელება მხოლოდ ჯიჰადისტური საქმიანობით ძალიან რთული იქნებოდა, ამიტომაც აქტიურად ჩაერთო ლიბანის ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში.[11]

ჰეზბოლას პოლიტიკური ფრთა, „წინააღმდეგობისა და განვითარების ბლოკი“, ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში 1992 წლიდან ჩნდება. ლიბანის პარლამენტში მოცემულმა პარტიამ 1992 წლის არჩევნებში 8 მანდატი მოიპოვა, ხოლო დღეისათვის ლიბანის პარლამეტნში 14 ჰეზბოლას წარმომადგენელია.

საინტერესოა, რომ 1989 წლის ტაიფის შეთანხმების საფუძველზე, ჰეზბოლასა და ლიბანში არსებულ ყველა სხვა შეიარაღებულ ჯგუფს მოეთხოვებოდა განიარაღება.[12] თუმცა განსხვავებით სხვა ჯგუფებისაგან, ორ ჯგუფს, ჰეზბოლასა და ამალს (ამ უკანასკნელს ნაკლებად) მიეცათ საშუალება შეენარჩუნებინათ საკუთარი სამხედრო პოტენციალი და უფრო მეტიც, გაეზარდათ ის. 2004 წლის 2 სექტმებრის, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1559, ხელმეორედ მოუწოდებდა ლიბანში ოპერირებად

---

[11] Robinson, K. Council of Foreign Relations (CFR) (2020). *What is Hezbollah?* https://www.cfr.org/backgrounder/what-hezbollah ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

[12] Parliament of Lebanon (1989). *The Taif Agreement.* United Nations Online; https://www.un.int/lebanon/sites/www.un.int/files/Lebanon/the_taif_agreement_english_version_.pdf ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

სამხედრო მილიტებს განიარაღებისაკენ[13], რაზეც ლიბანურმა მხარემ გაეროს ტერმინთა დაზუსტება მოსთხოვა, რადგან მათი განმარტებით ჰეზბოლა არა სამხედრო დაჯგუფება, არამედ წინააღმდეგობის მოძრაობა იყო, რომელსაც დიდი კონტრიბუცია ჰქონდა სამხრეთის საზღვრებზე ისრაელის შეკავებაში.[14]

ამის შემდეგ, ჰეზბოლამ მოიპოვა სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტები ლიბანში, რამაც საშუალება მისცა მის სამხედრო ფრთას, ჯიჰადის საბჭოს, უფრო თამამი მოქმედებებისათვის მიემართა.

[13] United Nations Security Council (2004). Resolution 1559. UNSCR Online; https://www.un.org/press/en/2004/sc8181.doc.html; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

[14] Stephen, R. (2006); William Paterson University. *Lebanon War Q&A.* *https://www.wpunj.edu/cohss/departments/pol_sci/faculty/shalom/lebanon-war-question-and-answer.html;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

2. ჰეზბოლას იდეოლოგიის კომპილაციური ხასიათი

მიუხედავად იმისა, რომ რიგ ექსპერტთა მიერ ჰეზბოლას იდეოლოგიად შიიტური რადიკალიზმი სახელდება[15], მოცემული მოსაზრება სრულ სურათს არ ასახავს და არ გვაძლევს დეტალურ ინფორმაციას ტერორისტული ორგანიზაციის იდეოლოგიური საფუძვლების შესახებ. მართალია შიიტური რადიკალიზმი ორგანიზაციის ქვაკუთხედს წარმოადგენს, თუმცა ჰეზბოლას იდეოლოგია უფრო კომპილაციურია, რადგან მას სხვა ელემენტებიც აქვს, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს ელემენტებია: ანტი-სიონიზმი, ანტი-იმპერიალიზმი და ე.წ ხომეინიზმი. აღსანიშნავია, რომ ჰეზბოლას იდეოლოგია ერგებოდა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სხვადასხვა გეოპოლიტიკურ პროცესებს, რაც ხსნის მის კომპილაციურ ხასიათს და რის გამოც ორგანიზაციის იდეოლოგიის კვლევისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ იდეოლოგიის განვითარების ქრონოლოგია და ისტორიული კონტექსტი.

2.1 ანტი-სიონიზმი და ანტი-იმპერიალიზმი

როგორც უკვე ითქვა, ჰეზბოლას იდეოლოგია ევოლუციურ ხასიათს ატარებს და მისი სხვადასხვა ელემენტი ქრონოლოგიურად იცვლებოდა ლიბანსა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენების ფონზე.

ისრაელის მიერ სამხრეთ ლიბანის ტერიტორიის დაკავების შედეგად 1982 წელს, ჩამოყალიბდა ანტი-სიონისტური დამოკიდებულება ჯერ კიდევ იმ დროისათვის ოფიციალურად არ არსებულ ჰეზბოლას ლიდერებს შორის. საკუთრივ ჰეზბოლა არ სცნობს საკუთარ თავს ანტი-სემიტურად და ღიად აცხადებს, რომ მისი ქმედებები მიმართულია ისრაელის სახელმწიფოს და არა ებრაელთა წინააღმდეგ. თუმცა რიგი ქმედებები საპირისპიროს მეტყველებს. კრისტოფერ ბლანშარდის კვლევაზე დაყრდნობით, ჰეზბოლა ებრაელებს მიზანმიმართულად აღწერს „კაცობრიობის

[15] Alagha, J. (2006). *The Shifts in Hizbullah's Ideology: Religious Ideology, Political Ideology*. Amsterdam: Amsterdam University Press. გვ. 63.

მტრებად“ რომლებსაც მსოფლიოში გაბატონება სურთ. გარდა ამისა ბლანშარდი აღნიშნავს რომ ანტი-სემიტური დამოკიდებულება სავსებით აისახება ჰეზბოლას მიერ ჰოლოკოტის არაღიარების ფაქტითაც. [16]

აღსანიშნავია, რომ ჰეზბოლას ანტისემიტისტური დამოკიდებულება მის ქმედებებშიც შეიმჩნევა. ალ-მანარი რომელიც ჰეზბოლას ტელევიზიას წარმოადგენს ებრალებს შიდსის და სხვა დაავადებათა გამავრცელებლად მოიხსენიებს.

როგორც ტერორისტულ ორგანიზაციას, ჰეზბოლასაც ახასიათებს ანტი-იმპერიალისტური დამოკიდებულებები. ორგანიზაცია აქტიურად გამოდის ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ და ადანაშაულებს მათ მუსულმანთა მარგინალიზაციაში და აცხადებს მათ „კოლონიალისტებად“. საინტერესოა, რომ ჰეზბოლამ 1985 წლის მანიფესტში მიზნად დაისახა ლიბანიდან კოლონიალისტი ამერიკის შეერთებული შტატების და მათი მოკავშირეების გაძევება.[17]

2.2 ხომეინიზმი და შიიტური რადიკალიზმი

ხომეინიზმი და შიიტური რადიკალიზმი ჰეზბოლას ცენტრალურ იდეოლოგიებს წარმოადგენს. მოცემული იდეოლოგიების ათვისება ჰეზბოლას მიერ ასევე დაკავშირებულია ჰეზბოლას ჩამოყალიბების ისტორიასთან. ჰეზბოლას ლიდერები აიათოლა ხომეინის მიმდევრებს წარმოადგენდნენ ხოლო სამხედრო დახმარებას ეს ორგანიზაცია ირანის რევოლუციური არმიიდან იღებდა. ერთ-ერთი მიზეზი ჰეზბოლას ჩამოყალიბების კი ირანის ისლამური რევოლუციის გავრცელება გალხდათ. [18]

---

[16] Blanchard, M. C & Addis, C. L (2010). *Hezbollah: Background and Issues for Congress.* (გვ. 6) *https://www.refworld.org/pdfid/4cc7c1612.pdf;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

[17] Hezbollah (1958). 1985 Manifesto.

[18] Blanchard, M. C & Addis, C. L (2010). *Hezbollah: Background and Issues for Congress.* (გვ. 16) *https://www.refworld.org/pdfid/4cc7c1612.pdf;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

სწორედ ირანის გავლენითა და ხომეინიზმის მიღებით ჩამოყალიბდა ჰეზბოლას შიიტურ-რადიკალისტური იდეოლოგია, რომელიც ერთგვარად აჯამებს და თავს უყრის ყველა იმ იდეოლოგიურ ელემენტს, რომელიც ახასიათებს მოცემულ ტერორისტულ ორგანიზაციას.

2.3 იდეოლოგიის როლი სხვა ტერორისტული ორგანიზაციიების მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრაში

შიიტური იდეოლოგიის გავლენით ჰეზბოლა აქტიურად უპირისპირდება ისეთ სუნიტური იდეოლოგიის მატარებელ ტერორისტულ ორგანიზაციებს, როგორიც არის ალ-ნუსრას ფრონტი, დაეში და ალ-კაიდა.

იდეოლოგიური ომის ფარგლებში ალ-ქაიდასა და ჰეზბოლას ლიდერები ერთმანეთის გზას არასწორს უწოდებენ. ჰეზბოლამ ასევე დაგმო ალ ქაიდას მიერ განხორციელებული 9/11-ის ტერაქტი.

2.4 იდეოლოგიური პროპაგანდის იარაღები

ირანის დახმარებით ჰეზბოლას მძლავრი პროპაგანდის მექანიზმი აქვს. ჰეზბოლა წარმოადგენს ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს საკუთარი რადიო, ტელევიზია, ბეჭვდითი მედია და კომპიუტერული თამაშიც კი. ამ ყოველივეს ჰეზბოლა იდეოლოგიური პროპაგანდისათვის იყენებს.

1991 წელს ირანის დახმარებით ბეირუთში გახსნა ალ-მანარის არხი და ალ ნურის რადიოსადგური. საინტერესოა რომ ალ მანარს ჰეზბოლა „ქანატ ალ-მუქავამას“ ანუ წინააღმდეგობის სადგურს უწოდებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ალ-მანარის არხი აკრძალულია საფრანგეთში ესპანეთსა და გერმანიაში. გარდა ამისა არ ხდება მისი

ტრანსლირება კანადასა და ავსტრალიაში. [19]

სწორედ ამ სატელიტური არხების დახმარებით ხდება ჰეზბოლას იდეოლოგიის პროპაგანდა ტელესივრცეში.

გარდა ამისა, ლიბანის საფეხბურთო კლუბი ალ აჰდი და ყოველკვირეული გამოცემა „ალ-აჰდი“ ასევე დაკავშირებულია ჰეზბოლასთან. კავშირზე ჰეზბოლასა და მოცემულ ერთეულებს შორის მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2016 წელს ალ-აჰდის საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელი ქასიმ შამხა დაიღუპა ალეპოს დასავლეთ ნაწილში სირიელ მეომრებთან ერთად ბრძოლის დროს. [20]

გარდა ამისა, ჰეზბოლას ცენტრალურმა ინტერნეტ ბიურომ 2003 წელს იდეოლოგიური ინდოქტრინაციის მიზნით გამოუშვა კომპიუტერული თამაში *Special Force*, სადაც თამაშის მონაწილეები ისრაელის არმიის ჯარისკაცების მკვლელობის სანაცვლოდ ჯილდოებს იღებენ.

[19] .n,d., Foundation For Defense of Democracies (FDD) (2005). *France Calls for EU Ban on Hezbollah's al-Manar Television;* https://www.fdd.org/analysis/2005/05/25/france-calls-for-eu-ban-on-hezbollahs-al-manar-television/; ინტერნეტი: ბოლო ნახვა: 27 სექტემბერი, 2020 წელი.

[20] .n,d., Al Arabiya (2016); Lebanese football player dies fighting for Hezbollah in Syria; Al Arabiya Online; https://english.alarabiya.net/en/sports/2016/11/04/Lebanese-football-player-dies-fighting-for-Hezbollah-in-Syria.html; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 27 სექტემბერი, 2020 წელი.

3. ჰეზბოლას ორგანიზაციული მოწყობა

ჰეზბოლას, როგორც ტერორისტული ორგანიზაციის, სტრუქტურა სხვა ორგანიზაციებთან შედარებით კომპლექსურია. იგი შედგება პოლიტიკური და სამხედრო ერთეულებისაგან და მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ცალსახა პოზიცია ორივე ერთეულის მიმართ, სტრუქტურულად ამ ორი აპარატის ქმედება გამიჯნული არ არის. ჰეზბოლას ერთ-ერთი ლიდერის, ნაიმ ქასემის მიხედვით, ჰეზბოლა სტრუქტურულად ერთიან ორგანიზაციას წარმოადგენს.

"ჰეზბოლას მხოლოდ და მხოლოდ ერთი ხელმძღვანელობა ჰყავს"
"ყველა პოლიტიკური, სოციალური და ჯიჰადის წარმოება ეხება ამ ხელმძღვანელობას... იგივე ეშელონები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ საპარლამენტო და სახელისუფლებო საქმიანობას, აწარმოებს ჯიჰადს ისრაელის წინააღმდეგ“. [21]

შესაბამისად, ჰეზბოლას პოლიტიკურ აპარატსაც მოცემულ თავში განვიხილავთ, რათა მივიღოთ სრული სურათი. ჰეზბოლას როგორც პოლიტიკურ, ისე მისე სამხედრო ფრთას აერთიანებს უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები საბჭო, რომელსაც სურას საბჭო[22] ეწოდება და რომელსაც სტრუქტურულად მთლიანად ექვემდებარება ჰეზბოლა.

3.1 სურას საბჭო

სურას საბჭო წარმოადგენს ჰეზბოლას უმაღლეს ორგანოს გადაწყვეტილების მიღების საკითხებში. ამ საბჭოს კომპეტენციაში შედის ორგანიზაციის სოციოპოლიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გადაწყვეტილებების მიღება. მოცემული საბჭოს ლიდერთა რაოდენობა შვიდიდან ცხრამდე იცვლება და

[21] BBC News (2019). *Hezbollah deputy leader Naim Qassem Interview*; https://www.youtube.com/watch?v=E6Y0k77UHp0&ab_channel=BBCNews; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

[22] *ზოგიერთგან მოცემული საბჭო „სურას საბჭოს“ სახელითაა მოხსენებული*.

ძირითადად საბჭოს სუბორდინატი საბჭოების წარმომადგენლებისაგან შედგება.[23] სურას საბჭოს დაქვემდებარებაში არსებულ სუბორდინირატ საბჭოებს შეგვიძლია შემდეგნაირი კლასიფიკაცია გავუკეთოთ:

1. **ცენტრალური საბჭო** ან **ცენტრალური კომიტეტი.**
2. **პოლიტიკური და ადმინისტრაციული აპარატი** - მასში შედის აღმასრულებელი საბჭო, პოლიტიკური საბჭო, პოლიტიკურ მრჩეველთა საბჭო, იურიდიული საბჭო და ჯიჰადის საბჭო[24].
3. **სამხედრო და უსაფრთხოების აპარატი** - წარმოადგენს ჰეზბოლას სამხედრო ფრთას.

სანამ თითოეულ მოცემულ სუბორდინატ ინსტიტუტს განვიხილავთ, უნდა ითქვას, რომ სურას საბჭო ე.წ „შემკვრელის“ როლს თამაშობს ამ დეპარტამენტებს შორის და ახდენს მათ ქმედებათა კორდინირებას. მისი გამარტივებული სტრუქტურა კი შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 2. ჰეზბოლას (სურას საბჭოს) სტრუქტურის გამარტივებული მოდელი



[23] დღეისათვის სურას საბჭოს 7 წევრი ჰყავს: **ჰასან ნასრალა (ჰეზბოლას ლიდერი), ჰუსეინ ალ-ხალილი, ნაიმ ქასემი, მუჰამედ იაზბეკი, იბრაჰიმ ელ საიედი, მუჰამედ რაადი, ჰაშიმ საფეიდინი.**

[24] სწორედ ჯიჰადის საბჭო, სამხედრო აპარატთან ერთად ახორციელებს ტერორისტულ აქტებს.

3.1.1 ცენტრალური საბჭო/ცენტრალური კომიტეტი

ცენტრალური კომიტეტი ან **ცენტრალური საბჭო** წარმოადგენს სურას სუბორდინატ ფრთას, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზაციაში არსებული გადაწყვეტილების შესახებ პროცედურების გაძღოლაში.

3.1.2 პოლიტიკური და ადმინისტრაციული აპარატი

სურას სუბორდინატი საბჭო, პოლიტიკური და ადმინისტრაციული აპარატი, 5 დეპარტამენტისაგან შედგება, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ფუნქციები აქვს. განვიხილოთ ისინი:

1. **აღმასრულებელი საბჭო** - პასუხისმგებელია ორგანიზაციის სოციალურ საქმიანობაზე და ადამიანურ რესურსზე. მას აქვს სხვადასხვა ბლოკები, რომელთაგან მნიშვნელოვანი მოცემულია წინამდებარე ცხრილში.

ცხრილი 3. ჰეზბოლას აღმასრულებელი საბჭოს სტრუქტურა.



2. **პოლიტიკური საბჭო** - სხვა წევრებთან ერთად მასში შედიან ჰეზბოლას წარმომადგენლები ლიბანის პარლამენტში და პასუხისმგებელია ლიბანის პოლიტიკურ სისტემაში მიმდინარე მოქმედებებზე. პოლიტიკურ საბჭოს ექვემდებარე 11 დეპარტამენტი.

ცხრილი 4. ჰეზბოლას პოლიტიკური საბჭოს სტრუქტურა.

3. **საპარლამენტო საბჭო** - მასში შედიან ჰეზბოლას მანდატის მფლობელი პარლამენტარები. საპარლამენტო საბჭოს წევრები არიან: **ალი ამარი, ჰუსეინ ალ-ჯიში, ამინ ჩირი, იბრაჰიმ ალ-მუსავი, იჰაბ მადეჰი, ალი ფაიადი, ანვარ ჰუსეინ ჯუმა, ჰასან ფადლალა, მუჰამედ რაადი, ნავა ალ-მუსავი, ჰუსეინ ალ-ჰაჯ ჰასანი, ალი მექდადი, ჯამილ ალ-საიედი, ალ-ვალიდ სუკარიე.**

4. **იურიდიული საბჭო** - პასუხისმგებელია ჰეზბოლას მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე არსებულ იურიდიულ სისტემებზე და ე.წ „შიიტურ სოფლებზე“.
იურიდიულ საბჭოს აქვს თავისი უზენაესი სასამართლო, რომელსაც ექვემდებარება სამი, **ბექაას ხეობის, ბეირუთის რეგიონული და სამხრეთ ლიბანის რეგიონული სასამართლოები.**

5. **ჯიჰადის საბჭო** - ჰეზბოლას სამხედრო ფრთასთან ერთად პასუხისმგებელია ჰეზბოლას ტერორისტულ ოპერაციებზე ლიბანსა და მის გარეთ. იგი შედგება ოთხი სამხედრო ბლოკისაგან: **ბლოკი 133, ბლოკი 400, ბლოკი 3800, ჯაბარის ბლოკი.**

3.1.3 სამხედრო და უსაფრთხოების აპარატი

როგორც უკვე ითქვა, ჰეზბოლას სამხედრო და უსაფრთხოების აპარატი ჯიჰადის საბჭოსთან ერთად პასუხისმგებელია ჰეზბოლას ტერორისტული აქტების განხორციელებაზე. თავის მხრივ, ამ აპარატს ორი დეპარტამენტი აქვს: **ისლამური წინააღმდეგობის** და **უსაფრთხოების ორგანო.** სამხედრო და უსაფრთხოების აპარატის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება.

ცხრილი 5. ჰეზბოლას სამხედრო და უსაფრთხოების აპარატის სტრუქტურა



4. პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო მაჩვენებლები

ტერორისტული ორგანიზაციის კვლევისას არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პროფილის შედგენა, რაშიც გვეხმარება ამ ორგანიზაციის პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო მაჩვენებლების დამუშავება. წინამდებარე პარაგრაფის მიზანია მოკლედ შეაჯამოს ჰეზბოლას პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო პოტენციალი, რაც უფრო ნათელ სურათს მოგვცემს მისგან მომავალ საფრთხეებზე.

4.1 ჰეზბოლას პოლიტიკური პროფილი

როგორც ზემოთ ვახსენე, ამალთან დაპირისპირების შემდეგ, ჰეზბოლასათვის ნათელი იყო რომ გავლენის მოსაპოვებლად არამხოლოდ პარტიზანული ომები და ტერორისტული აქტები იყო საჭირო, არამედ არანაკალებ მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური გავლენის მოპოვება, რაც შესაძლებელი გახლდათ მხოლოდ საპარლამენტო მანდატის მოპოვებითა და პოლიტიკური აქტივობით. ჰეზბოლას პოლიტიკური პროფილის შესასწავლად საჭიროა შევისწავლოთ მისი გავლენები ლიბანში, საგარეო ურთიერთობები და ის, თუ როგორ ახდენს ეს ყოველივე გავლენას მის აღქმაზე საერთაშორისო საზოგადოებაში.

4.1.1 ჰეზბოლას მანდატი ლიბანის პარლამენტში

ჰეზბოლას პოლიტიკური პროფილის კვლევა საჭიროა დავიწყოთ იმ გავლენის კვლევით, რომელიც მას გააჩნია უშუალოდ ლიბანის შიგნით. ამისათვის კი საჭიროა აღვწეროთ ჰეზბოლას საპარლამენტო საბჭო და მისი საქმიანობა, რომელიც შედგება ჰეზბოლასთან აფილირებულ პოლიტიკოსთაგან. ამ დროისათვის ჰეზბოლას 14 მანდატი აქვს ლიბანის პარლამენტში.

პარტია, რომელიც ჰეზბოლას წარმოადგენს ლიბანის პარლამენტში მოიხსენიება

როგორც Loyalty to the Resistance Bloc, რაც ითარგმნება როგორც წინააღმდეგობისა და განვითარების ბლოკი. საინტერესოა, რომ არამხოლოდ დასახელებაში, არამედ ძალიან ხშირადაც და როგორც ზემოთ ვნახეთ საერთაშორისო რეზოლუციების საპასუხოდაც, ჰეზბოლას წარმომადგენელი ლიბანელი პოლიტიკოსები ორგანიზაციას არა ლიბანურ სამხედრო დაჯგუფებად ან ტერორისტულ ორგანიზაციად მოიხსენიებენ, როგორც ამას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აკეთებს, არამედ წინააღმდეგობის მოძრაობად/ბლოკად.

დღეისათვის საპარლამენტო საბჭოს და ჰეზბოლას პოლიტიკური ფრთის ფაქტიურ ლიდერად **ჰაჯი მოჰამად რაადი** მოიხსენიება. ჰეზბოლას საპარლამენტო საბჭოს ზომა (წევრთა რაოდენობა) პირდაპირპროპორციულად დამოკიდებულია ჰეზბოლას წარმომადგენელი პარტიის, წინააღმდეგობისა და განვითარების ბლოკის მიერ მოპოვებულ მანდატზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ 8 მარტის ალიანსის წევრობის დროს 2008 წლის კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ ჰეზბოლამ 11 მანდატი მოიპოვა, რამაც მას ვეტოს უფლება მისცა.

დღეისათვის ჰეზბოლას წარმომადგენლები პარლამენტში არიან: **ალი ამარი, ჰუსეინ ალ-ჯიში, ამინ ჩირი, იბრაჰიმ ალ-მუსავი, იჰაბ მადეჰი, ალი ფაიადი, ანვარ ჰუსეინ ჯუმა, ჰასან ფადლალა, მუჰამედ რაადი, ნავა ალ-მუსავი, ჰუსეინ ალ-ჰაჯ ჰასანი, ალი მექდადი, ჯამილ ალ-საიედი** და **ალ-ვალიდ სუკარიე.**

4.1.2 ჰეზბოლას საგარეო ურთიერთობები

არანაკლებ კომპლექსურია ჰეზბოლას საგარეო ურთიერთობები, რაც საბოლოო ჯამში მის ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარების საკითხში აისახება. იდეოლოგიიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, ჰეზბოლას განსხვავებული

ურთიერთობა აქვს, რიგ საერთაშორისო აქტორებთან. განვიხილოთ მნიშვნელოვანი აქტორები.

1. **ირანი** და **სირია** - ირანი და სირია ჰეზბოლასათვის მთავარ მოკავშირეებს წარმოადგენენ. მოცემული ურთიერთობა არამარტო სასარგებლოა ჰეზბოლასათვის, არამედ ირანისა და სირიისათვისაც. შეიძლება ითქვას, ჰეზბოლა ირანის ინტერესების გამტარია ლიბანსა და ახლო აღმოსავლეთში. გარდა იმისა, რომ ირანი ჰეზბოლას ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამფინანსებელია, იგი აქტიურად იყენებს ჰეზბოლას ახლო აღმოსავლეთსა და სხვა რეგიონებში არსებულ სამხედრო კონფლიქტებში. რისი მაგალითიცაა ბოსნიის ომი და ჩართულობა სირიის სამოქალაქო ომში. ასადის რეჟიმისათვის ჰეზბოლა დამხმარე ძალას წარმოადგენს. სწორედ ასადის მხარეს ჩაერთო ჰეზბოლა სირიის სამოქალაქო ომში.

2. **რუსეთი, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა** - რუსეთი ჰეზბოლას ლეგიტიმურ ძალად თვლის. ნეიტრალურ ურთიერთობას ინარჩუნებს ჩინეთი, ხოლო ჩრდილოეთ კორეას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბრალი დასდო ჰეზბოლასათვის ეკონომიკური დახმარებაში.[25]

3. **არაბული სამყარო** - ნეგატიურადაა განწყობილი ჰეზბოლას მიერ. საინტერესოა, რომ არაბულმა სამყარომ ჰეზბოლას ტერორისტულ ორგანიზაციად ცნობა 2011 წელს, გამოიყენა ერთგვარ შეტყობინებად ალ-კაიდას წინააღმდეგ.

4. **ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები** და **ევროკავშირი** - საკუთარი იდეოლოგიიდან გამომდინარე, ჰეზბოლას განსაკუთრებით გაუარესებული ურთიერთობა აქვს ისრაელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ხოლო

[25] Mohammed, A. (2007). Reuters; *North Korea May Have Aided Hezbollah: U.S. Report;* Reuters Online; https://www.reuters.com/article/us-korea-north-terrorism/north-korea-may-have-aided-hezbollah-u-s-report-idUSN126891920071213; ინტერნეტი. ბოლო ნახვა: 28 სექტემბერი, 2020 წელი.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არ არსებობს ცალსახა პოზიცია მოცემულ ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

4.1.2.1 ჰეზბოლას აღქმა საერთაშორისო საზოგადოებაში - ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარების საკითხი

სწორედ ჰეზბოლას რთული სტრუქტურა და მისი პოლიტიკური პროფილი განსაზღვრავს მის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებაში არის შეთანხმება იმის შესახებ, რომ სულ მცირე ჰეზბოლას სამხედრო ფრთა მაინც წარმოადგენს ტერორისტულ ორგანიზაციას, არ არსებობს ცალსახა პოზიცია ჰეზბოლას პოლიტიკურ ფრთასთან დაკავშირებით. ამიტომაც მნიშვნელოვანია განვიხილოთ ჰეზბოლას ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარების საკითხი საერთაშორისო საზოგადოების სხვადასხვა წევრების მიერ.

ცხრილი 6. ჰეზბოლას ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადება საერთაშორისო აქტორების მიხედვით

	ჰეზბოლას პოლიტიკური ფრთა	ჰეზბოლას სამხედრო ფრთა
გერმანია	✓	✓
საფრანგეთი		✓
დიდი ბრიტანეთი	✓	✓
ევროკავშირი		✓
კანადა	✓	✓
აშშ	✓	✓
არაბული ლიგა	✓	✓
ისრაელი	✓	✓

ევროატლანტიკური სივრცე

განსხვავებულია დამოკიდებულება ევროატლანტიკურ სივრცეში ჰეზბოლას მიმართ. რიგი მიზეზების გამო, ზოგიერთი სახელმწიფო თუ პოლიტიკური აქტორი, ჰეზბოლას ერთიანად აღიარებს ტერორისტულ ორგანიზაციად, ზოგიც კი - მხოლოდ მის სამხედრო ფრთას.

გერმანია

საინტერესოა, რომ გერმანიამ საკუთარი პოზიცია შეიცვალა ჰეზბოლას აღიარების საკითხის მიმართ. 2020 წლამდე გერმანია განასხვავებდა ჰეზბოლას პოლიტიკურ და ტერორისტულ საქმიანობას. 2020 წლის 3 აპრილს, გერმანიამ ჰეზბოლას როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო ფრთა, ტერორისტულ ორგანიზაციად სცნო.[26] აღსანიშნავია, რომ გერმანიის მიერ მოცემულ ქმედებაზე გარკვეულწილად იმოქმედა ამერიკის შეერთებული შტატების და ისრაელის ზეწოლამ.

საფრანგეთი

საფრანგეთი ჰეზბოლას მხოლოდ სამხედრო ნაწილს სცნობს ტერორისტულ ორგანიზაციად, ხოლო პოლიტიკურ ფრთას იგი ლეგიტიმურ სოციოპოლიტიკურ ორგანიზაციად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში მთლიანად ჰეზბოლას ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარების საკითხზე საუბარი არ წყდება.[27]

დიდი ბრიტანეთი

ჰეზბოლას ცნობის საკითხს ბრიტანეთი ყველაზე კონსტრუქციულად მიუდგა. მოცემულ საკითხზე დიდხნიანი სპეკულირების შემდეგ, 2019 წლის 26 თებერვალს,

---

[26] .n,d., Deutsche Welle (2020). *German government bans Hezbollah — Interior Ministry;* DW Online; https://www.dw.com/en/german-government-bans-hezbollah-interior-ministry/a-53287126; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

[27] Stern, J. (2020) Atlantic Council Online; *Macron has the power to change the EU's Hezbollah policy;* https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/macron-has-the-power-to-change-the-eus-hezbollah-policy/; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

Terrorism Act 2000-ის ფარგლებში დიდმა ბრიტანეთმა ჰეზბოლას როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ფრთა, ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.[28]

ევროკავშირი

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია დამოკიდებულება ჰეზბოლას მიმართ უშუალოდ ორგანიზაციის წევრებს შორის, თავად ევროკავშირი, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულებით, 2007 წლიდან საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში ერთიან იურიდიულ სუბიექტად აღირიცხება, ჰეზბოლას მხოლოდ სამხედრო ფრთას სცნობს ტერორისტულ ორგანიზაციად. [29]

კანადა

ისევე როგორც დიდი ბრიტანეთი, კანადაც ჰეზბოლას ორივე, პოლიტიკურ და სამხედრო ფრთას, ტერორისტულ ორგანიზაციად სცნობს.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ჰეზბოლას როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ფრთის, ტერორისტულ ორგანიზაციად ცნობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. ჰეზბოლას როგორც პოლიტიკური ისე სამხედრო ფრთა 2005 წლის 11 ოქტომბერს უცხოურ ტერორისტული ორგანიზაციების (FTO) განახლებულ სიაში შეიყვანა. [30]

---

[28] The National Archives (2000); *Terrorism Act 2000; https://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/11/section/38B;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი

[29] European Union (2007); *Treaty of Lisbon;* https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ:C:2007:306:TOC; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი

[30] U.S Department of State (2020); *Designated Foreign Terrorist Organizations;* https://www.state.gov/foreign-terrorist-organizations/; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

არაბული სამყარო და ისრაელი

არაბული ლიგის დამოკიდებულება

2011 წლიდან არაბული ლიგა ჰეზბოლას როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ ფრთას, ტერორისტულ ორგანიზაციად სცნობს. იმ დროისათვის არაბული ლიგისათვის მოცემული ნაბიჯის გადადგმა წარმოადგენდა გარკვეული შეტყობინების გაგზავნას ისეთი სუნიტური რადიკალური ჯფუფებისათვის, როგორიც არის ალ-კაიდა და დაეში.

ისრაელი

ისრაელის დამოკიდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული საკითხის მიმართ. ლოგიკურია, რომ ისრაელი, რომელიც ჰეზბოლას ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენს არამხოლოდ სამხედრო, არამედ მის პოლიტიკურ ფრთასაც ტერორისტულ ორგანიზაციად სცნობს.

სხვა აქტორები

ისეთი აქტორები, როგორიც არის **რუსეთი, ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი, ირანი** და **სირია** არ აღიარებენ ან ნეიტრალური დამოკიდებულებას აცხადებენ ჰეზბოლას მიმართ.

4.2 ტერორიზმის ეკონომიკა

ჰეზბოლას კვლევისას არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ფინანსური შესაძლელბლობების შეფასება. მოცემული ორგანიზაცია, ისე როგორც არცერთი სხვა, ამტკიცებს ტერორიზმის ფინანსური მომგებიანობის მნიშვნელობას. ამრიგად, წინამდებარე პარაგრაფი განიხილავს ჰეზბოლას ფინანსურ სიმძლავრეს და მის საშინაო და საგარეო დაფინანსების წყაროებს.

პარაგრაფში პირველ რიგში განხილული იქნება მისი საშინაო და საგარეო დაფინანსების წყაროები, ხოლო შემდგომ ჰეზბოლა შედარებული იქნება სხვა ტერორისტული ორგანიზაციებთან ფინანსური მონაცემების მიხედვით.

4.2.1 ჰეზბოლას საშინაო და საგარეო დაფინანსების წყაროები

ჰეზბოლას დაფინანსების წყაროები შეგვიძლია ორ კატეგორიად დავყოთ, საშინაო და საგარეო. საშინაო და საგარეო დაფინანსების წყაროები. მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობის და განვითარების ბლოკის ლიდერი მუჰამედ რაადის განცხადებით, ჰეზბოლას დაფინანსების ძირითადი წყაროები კერძო პირთა მიერ გაკეთებული შემუწირულობებია, ჰეზბოლას დაფინანსება მეტად უფრო კომპლექსურ და კრიმინალურ სქემებს და პროცესებს მოიცავს.

ჰეზბოლას დაფინანსების საშინაო წყაროები

ჰეზბოლას დაფინანსების საშინაო წყაროებს წარმოადგენს კერძო პირთა შემოწირულობა და ის ბიზნესები, რომელთაც ორგანიზაცია ფლობს. უშუალოდ კერძო პირთა მიერ გაკეთებულ შემოწირულობებზე შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ საშინაო დაფინანსება ორ კატეგორიად იყოფა: „ნებაყოფლობითი“ შემოწირულობები და შიიტ მუსლიმთა მიერ გაღებული გადასახადები.

„ნებაყოფლობით“ შემოწირულობებს, როგორც წესი გამოჩენილი შიიტი ოჯახები აკეთებენ ჰეზბოლას მიმართულებით. ამ მხრივ შეგვიძლია გამოვყოთ რამოდენიმე ოჯახი, რომელთა მეშვეობითაც, სავარაუდოდ, ფინანსდება ჰეზბოლა:

ჰამადის ოჯახი - ცნობილი ოჯახი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოცემული ოჯახის უფლებამოსილებაში შედის გადასახადების მოკრეფა ბატრუნი, კესერუანი და ფშარის რეგიონებიდან.

ჰარფუშის ოჯახი - ბაალბეკის და ბექაას რეგიონების ფეოდალთა ოჯახი.

ალი ას-საგირის ოჯახი - სამხრეთ ლიბანის ფეოდალთა ოჯახი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ფადელის ოჯახი - ფეოდალი მიწათმფლობელები.

საბაჰ-ს ოჯახი - ფეოდალი მიწათმფლობელები

ხალილის ოჯახი - ფეოდალი მიწათმფლობელები.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა დროს თითოეული ზემოხსენებული ოჯახის რომელიმე წევრის კავშირი ფიქსირდება უშუალოდ ჰეზბოლას სამხედრო ფრთის ან წინააღმდეგობის და განვითარების პარტიასთან.

გარდა ამისა ჰეზბოლა დაფინანსებას იღებს კომპანიებისა და ორგანიზაციებსაგან, რომელთა შორის არის - *Biton Plus, Al-Raed Company, Trend Point Global, Yusur Financing and Investment Company*. მოცემული კომპანიები სურას საბჭოს ფინანსურ დეპარტამენტშია დასახელებულია როგორც „მფლობელობაში" არსებული ან „დაფუძნებული" კომპანიები. [31]

ჰეზბოლას დაფინანსების საგარეო წყაროები

ჰეზბოლას დაფინანსების უდიდესი წილი მის საგარეო დაფინანსების წყაროებზე მოდის. შეიძლება ითქვას, ჰეზბოლას ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი სწორედ საგარეო ფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით აქვს მოპოვებული. საგარეო დაფინანსების წყაროები შეგვიძლია ორ ტიპად დავყოთ: **სამთავრობო „მაგიდის ქვეშ" დაფინანსებები** და **ფინანსების მიღება კრიმინალური გზით.**

სამთავრობო „მაგიდის ქვეშ" დაფინანსებები

ზოგიერთი ქვეყნისათვის ჰეზბოლას დაფინანსება პრიორიტეტულია. მოცემული ფინანსური ოპერაციები სამომავლოდ გამოიყენება ჰეზბოლაზე ფინანსური ბერკეტის მოსაპოვებლად, რათა ტერორისტული ორგანიზაცია გამოყენებული იქნას მოცემული აქტორის ინტერესების გამტარად.

იმ ქვეყანათა შორის, რომლებიც ჰეზბოლას აფინანსებენ აღსანიშნავია ირანი. სხვადასხვა მონაცემებით, ირანი ჰეზბოლას აფინანსაებდა 1983 წლიდან. მხოლოდ სამოქალაქო ომის პერიოდში (1983-1990) წლებში ირანის მიერ ჰეზბოლასათვის

[31] Eye on Hezbollah (2020); *Organizational Chart; https://hezbollah.org/organizational-chart; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.*

გაღებული თანხა 400 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა,[32] ხოლო 2018 წლის მონაცემებით ჰეზბოლა სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებთან შედარებით ყველაზე მეტ დაფინანსებას ირანისგან იღებს.

ცხრილი 7. ირანის მიერ ტერორისტული დაჯგუფებების დაფინანსება 2018 წელს. წყარო: Statista



გარდა ირანისა, ასადის რეჟიმიც, მიუხედავად იმისა, რომ ჰეზბოლას ლიდერმა, ჰასან ნასრალამ უარყო მოცემული ინფორმაცია, ხშირად ექცევა კრიტიკის ქვეშ ჰეზბოლასათვის სამხედრო იარაღით დახმარების გამო.

ფინანსების მიღება კრიმინალური გზით

ჰეზბოლა ერთ-ერთ ყველაზე დიდ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს ფულის გათეთრების, ნარკოტიკებისა და აკრძალული ნივთიერებებით/ნივთებით ვაჭრობის კუთხით. ამ კუთხით ჰეზბოლა არამხოლოდ დიდ ფინანსურ სარგებელს პოულობს, არამედ ქმნის ერთგვარ კრიმინალურ ქსელსაც, რომელიც მოიცავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ახლო აღმოსავლეთს, ევროპას, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას.

[32] UN Office for the Coordination of Humanitarian Affairs (2006). *LEBANON: The many hands and faces of Hezbollah; https://www.thenewhumanitarian.org/report/26242/lebanon-many-hands-and-faces-hezbollah; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.*

მოცემული ქსელი ვიზუალურად შემდეგნაირად გამოიყურება.

ცხრილი 8. ჰეზბოლას კრიმინალური ქსელი.



კონტრაბანდა და შავი ბაზარი

კონტრაბანდა ჰეზბოლასათვის კრიმინალური გზით მოპოვებული თანხის ყველაზე დიდ წილს შეადგენს. ეს საქმიანობა ტერორისტული ორგანიზაციისათვის არამხოლოდ მნიშვენლოვანია ფინანსური თვალსაზრისით, არამედ იქმნება ერთგვარი ოპერირების და პასუხისმგებლობის რეგიონები (AOR). როგორც ზემოთ ასახული დანართიდან ჩანს, ჰეზბოლა კონტრაბანდულ საქმიანობას სხვადასხვა რეგიონებში ეწევა.

პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ლიბანის აღმოსავლეთ ნაწილიდან, **ბექაას ხეობიდან** მარიხუანის კონტრაბანდა სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჰეროინის კონტრაბანდა და იშვიათი ნივთების გაყიდვა ე.წ **ოქროს სამკუთხედის რეგიონში**, მიანმარის, ლაოსისა და ტაილანდის ტერიტორიაზე. ასევე უნდა ვახსენოთ **ჩრდილოეთ** და **სამხრეთ ამერიკა**, რომლებიც ძირითადად

ნარკოტიკების ან ნიკოტინის კონტრაბანდით გამოირჩევა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა *Operation Smokescreen*-ის ფარგლებში, რომელიც 1995 წლიდან 2002 წლამდე მიმდინარეობდა, დააკავა მუჰამედ ჰამუდი, ნიკოტინით კონტრაბანდის ბრალდებით.[33]

ფულის გათეთრების სქემები

ჰეზბოლას კრიმინალური ფინანსების განხილვისას, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ფულის გათეთრების სქემებიც, რომელიც როგორც წესი, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონებში ხდება. გერმანიაში ოპერირებადი ორგანიზაცია **Orphans Project Lebanon**-*ი, ორგანიზაცია The European Foundation for Democracy*-ის განცხადებით შემოწირულობებს გზავნიდა ლიბანურ კომპანია **ალ-შაჰიდის** ასოციაციაში, რომელიც შემდგომ ამარაგებდა ჰეზბოლას იარაღით.[34] გარდა ამისა, 2011 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფულის გათეთრების ბრალდებით აუკრძალა **Lebanese Canadian Bank**-ს დოლარებში ოპერაციების შესრულება. [35]

4.2.2 ჰეზბოლა - ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაცია

ჰეზბოლას ფინანსური წყაროების შესწავლის შემდეგ, მისი ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი სავსებით ლოგიკური ჩანს. 2017 წლის Statista-სა და Forbes-ის მონაცემებით, ჰეზბოლა ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომლის წმინდა ღირებულება (Net Worth) 1 100 000 000$ შეადგენდა.

---

[33] US Bureau of Alchohol, Tobacco, Firearms and Explosives (1995-2002); *Operation Smokescreen; https://www.atf.gov/our-history/operation-smokescreen;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

[34] Deutsche Welle (2014); *Germany outlaws support group with Hezbollah ties, raids offices nationwide; https://www.dw.com/en/germany-outlaws-support-group-with-hezbollah-ties-raids-offices-nationwide/a-17551285;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

[35] US Department of the Treasury (2011); *Treasury Identifies Lebanese Canadian Bank Sal as a "Primary Money Laundering Concern"*; https://www.treasury.gov/press-center/press-releases/Pages/tg1057.aspx; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

ცხრილი 9. ტერორისტული ორგანიზაციების წმინდა ღირებულებები (Net Worth) 2017 წელს. მოპოვებულია: Statista



4.3 „სახელმწიფო - სახელმწიფოში“ - ჰეზბოლას სამხედრო სიმძლავრე

ჰეზბოლას სამხედრო პოტენციალის კვლევისას აშკარადა ჩანს, რომ ამ ტერორისტულ ორგანიზაციას სავსებით დამსახურებულად აქვს მოპოვებული სტატუსი „სახელმწიფო-სახელმწიფოში“. სხვადასხვა შეფასებით, ჰეზბოლას სამხედრო პოტენციალი ბევრად აღემატება ლიბანის სამხედრო პოტენციალს, რასაც ემატება ის ფაქტიც, რომ საჭიროების შემთხვევაში ჰეზბოლას ეხმარება ლიბანის შიგნით ამალის მოძრაობა, ხოლო გარედან ირანი და სირია. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები ჰეზბოლას სამხედრო სიძლიერის შესახებ, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია შევქმნათ გარკვეული სურათი, რომელიც ასახავს ჰეზბოლას სამხედრო პოტენციალს:

- ჰეზბოლას 1000 მომუშავე პერსონალი და 6000-დან 10,000-მდე მოხალისე ჰყავს. [36]
- ირანულ წყაროებზე დაყრდნობით ჰეზბოლას მებრძოლთა რიცხვი 65000 მდეა.

[36] Agence France Presse (2006). Analysis: Hezbollah a force to be reckoned with

- IDF-ის სარდალი გუი ზური ჰეზბოლას ყველაზე ძლიერ სამხედრო დაჯგუფებას უწოდებს. [37]
- ჰეზბოლა ჭურვებით მარაგდება ირანისა და სირიისაგან. 2010 წელს ამერიკის თავდაცვის მინისტრის, რობერტ გეითსის განცხადებით ჰეზბოლას უფრო მეტი ჭურვი აქვს ვიდრე რიგ სახელმწიფოებს. [38]
- 2006 წელს ისრაელთან ბრძოლის დროს ჰეზბოლას მიერ მოხდა დიდი რაოდენობით თანამედროვე იარაღის აკუმულირება ლიბანის ტერიტორიაზე, რაც შემდგომ ჰეზბოლას ხელში გადავიდა. [39]
-ჰასან ნასრალას განცხადებით დრონების გამოყენება ისრაელის წინააღმდეგ მხოლოდ მცირე ზომაა, და ჰეზბოლას გაცილებით დიდი სამხედრო პოტენციალი აქვს. [40]
- 2006 წლის ლიბანის ომში ჰეზბოლამ 4000-მდე ჭურვი გამოიყენა, 34 დღიან ინტერვალში.[41]

ჰეზბოლას არსენალში ასევე შედის ანტისატანკო, სახმელეთო, ანტისაზღვაო და ანტისაჰაერო რაკეტები და შაშხანები, რომლის შესახებ მონაცემები შეგიძლია იხილოთ შემდეგ ცხრილში.

---

[37] Cody, E. & Moore, M. (2006) WashingtonPost Online; *The Best Guerrilla Force in the World' Analysts Attribute Hezbollah's Resilience to Zeal, Secrecy and Iranian Funding;* *https://www.washingtonpost.com/archive/politics/2006/08/14/the-best-guerrilla-force-in-the-world-span-classbankheadanalysts-attribute-hezbollahs-resilience-to-zeal-secrecy-and-iranian-fundingspan/1107737d-a7c1-451a-b3ca-049c9320005c/;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

[38] Keyes, C. (2011) CNN Online; *U.S. military needs flexibility due to poor predictions, Gates says;* http://edition.cnn.com/2011/POLITICS/05/24/gates.speech/index.html; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი

[39] ^^ იქვე

[40] Hoeing, M. (2014) Federation of American Scientists; Hezbollah and the Use of Drones as a Weapon of Terrorism; https://fas.org/wp-content/uploads/2014/06/Hezbollah-Drones-Spring-2014.pdf; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი

[41] Eye On Hezbollah (2020); *n,d.* hezobllah.org

ცხრილი 10. ჰეზბოლას სამხედრო არსენალი. მოპოვებულია: Eye On Hezbollah. რედაქტიურებულია: ავტორის მიერ



5. სამხედრო აქტივობა, ტერორისტული აქტების მოწყობის ტაქტიკები და სტრატეგია. განხორციელებული ტერორისტული აქტები

5.1 ჰეზბოლას სამხედრო აქტივობა ლიბანს გარეთ

გარდა ლიბანის სამოქალაქო ომების სხვადასხვა ციკლებისა და ტერორისტული აქტებისა, ჰეზბოლა ასრულებს მნიშვნელოვან როლს და ხშირად წარმოდგება, როგორც ირანის ინტერესების გამტარი სხვადასხვა კონფლიქტში. წინამდებარე პარაგრაფში განხილულია ლიბანის გარეთ ჰეზბოლას ჩართულობა სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

ბოსნიის ომი

ბოსნიის ომი ჰეზბოლასათვის იდეალურ შესაძლებლობას წარმოადგენდა წარმოეჩინა თავი, როგორც ანგარიშგასაწევ ძალას, საერთაშორისო კონფლიქტში. ბოსნიის ომში, რომელიც 1992-1995 წლებში მიმდინარეობდა, ჰეზბოლა წარმოდგენილი იყო მოხალისეთა რაზმების სახით, რომლებიც იქ ბოსნიელ მუსულმანთა დასახმარებლად ჩავიდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰეზბოლას დახმარება მოცემულ დაპირსპირებაში არა ლიბანის, არამედ უფრო ირანული დახმარების ინტერპრეტაცია იყო. სხვადასხვა მონაცემებით ბოსნიის ომში ჰეზბოლას 150 მებრძოლი იბრძოდა ბოსნიის სერბული ჯარის წინააღმდეგ.[42]

სირიის სამოქალაქო ომი

სირიის სამოქალაქო ომი ჰეზბოლას ჩართულობის კუთხით შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ კონფლიქტში არის ჰეზბოლა

[42] Encyclopedia Britannica (n,d.); *Bosnian War; https://www.britannica.com/event/Bosnian-War;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

ჩართული ყველაზე დიდი აქტიურობით, რაც თავად კონფლიქტის ხასიათით და მნიშვნელობით აიხსნება. სირიის სამოქალაქო ომმა, რომელიც 2011 წელს დაიწყო, მალევე მიიღო რელიგიური ხასიათი და გარდაიქმნა სექტარიანულ ომად. ეს კი ისეთ შიიტურ დაჯგუფებებს, როგორიც არის ჰეზბოლა საფუძველს აძლევდა ჩართულიყო მოცემულ კონფლიქტში. გარდა ამისა, სირიის სამოქალაქო ომის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა დიდია საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ფაქტიურად სირიაში მიმდინარე პროცესების საფუძველზე იქმნება ძალთა ბალანსი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ამრიგად, ირანი, რომელიც დაინტერესებულია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ჰეგემონის სტატუსის მოპოვებით, აქტიურად იყენებს პარტიზანულ ომებში კარგად გამოცდილ ჰეზბოლას. ჰეზბოლა რუსეთთან და ირანთან ერთად აქტიურად უჭერს მხარს ასადის რეჟიმს.

საინტერესოა რომ მოცემულ ომში სირია უპირისპირდება ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს, როგორებიცაა დაეში და ალ ნუსრას ფრონტი. ამ უკანასკნელმა 2014 წელს მძევლად აიყვანა გაეროს სამშვიდობო მისიის 45 ჯარისკაცი და გამოაქვეყნეს მუქარის შემცველი ვიდეო, სადაც მოითხოვდნენ ჰეზბოლას გასვლას სირიის სამოქალაქო ომიდან. [43]

სხვადასხვა მონაცემებით ჰეზბოლას ჩართულობა მოცემულ კონფლიქტში 5000-8000 მებრძოლით განისაზღვრება, ხოლო 2015 წლის მონაცემებით, ჰეზბოლამ 1500 მებრძოლი დაკარგა მოცემულ კონფლიქტში.[44]

---

[43] n,d. (2014); BBC Online; Syria conflict: Rebels release Fijian UN peacekeepers; https://www.bbc.com/news/world-middle-east-29161884; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტმეზერი, 2020 წელი.

[44]Jones,G., S (2018) Center for Strategic and International Studies; The Escalating Conflict with Hezbollah in Syria; https://www.csis.org/analysis/escalating-conflict-hezbollah-syria; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

5.2 ტერორისტული აქტების სამიზნის შერჩევის პოლიტიკა

მიუხედავად ჰეზბოლას განცხადებებისა, რომლიდანაც შეიძლება მცარად ვიფიქროთ, რომ ჰეზბოლას განსხვავებული სამიზნის შერჩევის პოლიტიკა აქვს და იგი ამიტომაც არ წარმოადგენს ტერორისტულ მოძრაობას, არამედ წინააღმდეგობის მოძრაობაა, სხვადასხვა ტერაქტებზე დაკვირვებითა და ჰეზბოლას ორგანიზაციული წარმომადგენლების განცხადებებზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჰეზბოლას საკმაოდ შერჩევითი, თუმცა მაინც სამიზნის შერჩევის ძალადობრივი პოლიტიკა აქვს.

ერთ-ერთი მთავარი განსხვავება, რომლითაც ჰეზბოლა ცდილობს თავისი ტერორისტული საქმიანობა გამოარჩიოს სხვა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მოწყობილი ტერაქტებისაგან არის პრინციპი: ჩვენ არ ვებრძვით სამოქალაქო პირებს.რასაც ცალსახად აბათილებს ჰეზბოლას ლიდერის, ნასრალას, სიტყვა, რომლითაც იგი გამოვიდა 2002 წლის ივნისში, ისრაელის მიერ ჰეზბოლას წინააღმდეგ წამოწყებული სამხედრო ოპერაციის, Operation Defensive Shield (oDS), ის შემდეგ, სადაც იგი მოუწოდებდა თვითმკვლელთა რაზმებს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე მიეტანათ შეტევა როგორც სამოქალაქო (ებრაელებზე) ისე სამხედრო პირებზე (IDF-ზე), რადგანაც ისინი ყველა დამპყრობლებს წარმოადგენდნენ. [45]

მიუხედავად ამისა, ჰეზბოლა <u>დემონსტრაციულად</u> გმობს სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე მიტანილ ზიანს სხვა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ. ამის მაგალითია ალ-კაიდას 2001 წლის შეტევა მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე დაგმობა, თუმცა ჰეზბოლამ ამავე დროს გაამართლა პენტაგონზე განხორციელებული შეტევა.

---

[45] n,d., AJC News and Analysis (2003). *Hezbollah Incites Antisemitism – Factsheet 8; https://www.ajc.org/news/hezbollah-incites-antisemitism-factsheet-8;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

გარდა ამისა, 2012 წლის ზაფხულში, ამერიკის შეერთებული შტატების კოორდინატორმა, დანიელ ბენჯამინმა განაცხადა, რომ ევროპა ნებისმიერ წუთს შეიძლება აღმოჩნდეს ჰეზბოლას ტერორისტული ტერაქტების სამიზნე.[46]

5.3 ტერორისტული აქტების განხორციელების ძირითადი ტაქტიკები - ჰეზბოლა როგორც „ინოვატორი“

ჰეზბოლას ტერორისტული ორგანიზაციის პროფილი კიდევ უფრო საინტერესო ხდება ტერორისტული აქტების განხორციელების ტაქტიკების შესწავლისას. მოცემულ საკითხში ჰეზბოლა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ ინოვატორია რიგი ტაქტიკებისა და აღსანიშნავია ისიც, რომ საკმაოდ ერთგულიც მოცემული ტაქტიკების მიმართ, რაშიც ვრწმუნდებით მის მიერ განხორციელებული ტერორისტულ აქტებზე დაკვირვებით, რომელიც შეგვიძლია სულ რამდენიმე ტიპად დავყოთ.

სუიციდური აფეთქებები

ტერორიზმის ისტორიაში სუიციდური აფეთქებების[47] მეშვეობით ტერორისტული აქტების განხორციელების პირველ ჩანაწერებში სწორედ ჰეზბოლას სახელი გვხვდება. მოცემულ ტაქტიკას ჰეზბოლამ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში პირველად IDF-ის წინააღმდეგ მიმართა. შეიძლება ითქვას, რომ ჰეზბოლა დღემდე „წარმატებით“ იყენებს მოცემულ სტრატეგიას.

სატვირთო მანქანების საშუალებით განხორციელებული ტერორისტული აქტები

ჰეზბოლა ასევე პიონერია სატვირთო მანქანების საშუალებით ტერორისტული აქტების განხორციელებაში. ეს შეიძლება ითქვას სუიციდური აფეთქების

---

[46] n,d, *The Jerusalem Post* (2012) "'Hezbollah could hit Europe at any time, with no warning'“; http://www.pressreader.com/israel/jerusalem-post/20120812/281573762845185; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

[47] იგულისხმება Suicide Bombing

„გაუმჯობესებული“ ვერსიაა, რადგან იგი უფრო მომაკვდინებელ ვარიანტს წარმოადგენს. მოცემულ ტაქტიკის გამოყენებისას ხდება სატვირთო მანქანის ასაფეთქებელი მოწყობილობით დატვრითვა და შეჯახების ინიცირება ინფრასტრუქტურულ პროექტებთან.

გატაცება

ჰეზბოლას მიერ ერთ-ერთი ყველაზე “წარმატებულად” გამოყენებული სტრატეგია, რაც გულისხმობს არამხოლოდ თვითფრინავების ან სხვა ტიპის ტრანსპორტის გატაცებას, არამედ ასევე საჯარო პირების, პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების გატაცებასაც.

ჰეზბოლას მიერ მოცემული ტაქტიკების გამოყენების ისტორიული მაგალითები მოცემულია შემდეგ პარაგრაფში.

5.4 განხორციელებული ტერორისტული აქტები

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული ქვეპარაგრაფის მიზანი არა ყველა ტერორისტული აქტის აღწერა, არამედ წინა პარაგრაფებში აღწერილი ტერორისტული აქტების მოწყობის ტაქტიკებისა და სტრატეგიების მაგალითებით გამყარებაა, ჰეზბოლას მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების წინამდებარე სია არასრულია.

ტვიროსის სათავო ოფისების აფეთქება

1982-1983 წლებში ლიბანის ქალაქ ტვიროსში განხორციელებული ორი ტერაქტის შედეგად დაიღუპა 103 ებრაელი და 55 ლიბანელი. მოცემული ტერორისტული შეტევა ორ ეტაპად განხორციელდა. 1982 წლის ნოემბერს ისრაელის მიერ კონტროლირებად ქალაქ ტვიროსში, ისრაელის წარმოადგენლობის სათაო ოფისის ავტოფარეხში **აფეთქდა „პეჟოს“ მარკის მანქანა**, რამაც 27-მდე ლიბანელი და პალესტინელის სიცოცხლე იმსხვერპლა. საინტერესოა, რომ ქალაქ ბაალბეკთან დგას აჰმად ქასირის ძეგლი, რომელიც წარმოადგენს მოცემულ შეტევაში ბრალდებულად ცნობილ პირს.

1 წლის შემდეგ 1983 წლის 4 ნოემბერს, ისევ ქალაქ ტვიროსში შინ ბეთის შენობაში, რომელიც იმ დროისთვის ისრაელის სამხედრო ბაზას წარმოადგენდა განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა **სატვირთო მანქანის აფეთქების** საშუალებით, რამაც 28 ებრაელისა და 32 ლიბანელი პატიმრის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ტერაქტი აშშ-ის საელჩოზე ბეირუთში

1983 წლის 18 აპრილს განხორციელებული შეტევა იმ დროისათვის ყველაზე დიდ ტერორისტულ შეტევად იქნა ცნობილი, რომლის შედეგადაც ჯამში 73 ადამიანი დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ მოცემული შეტევის ტაქტიკა ჰგავს ტვიროსის სათავო ოფისის აფეთქებას, რაშიც ვგულისხმობ იმას, რომ გამოყენებული იქნა **სატვირთო მანქანა**, რომელიც დატვირთული იყო **910 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერებით.**

ბეირუთის ყაზარმების დაბომბვა

ისლამური ჯიჰადის ორგანიზაციამ (IJO), რომელიც ფაქტიურად ჰეზბოლას სატელიტ ორგანიზაციად მიიჩნევა დღეს, განახორციელა ტერორისტული შეტევა ბეირუთის ყაზარმებზე, რომელიც ამერიკისა და საფრანგეთის სამხედრო ბაზას წარმოადგენდა. შეტევის შედეგად გარდაიცვალა 307 ადამიანი - 241 აშშ-ის სამხედრო მოხელე, 58 ფრანგი სამხედრო პერსონალი, 6 სამოქალაქო პირი და 2 თავდამსხმელი. შეტევა ასევე განხორციელდა იგივე გზით როგორითაც ზემოხსენებული ორი ტერაქტი.

ქუვეითის ტერაქტი

ბეირუთის ყაზარმების დაბომბვიდან 2 თვის შემდეგ, 1983 წლის 12 დეკემბერს, ერაყის დახმარებით ჰეზბოლამ მიიტანა იერიში 5 ინფრასტრუქტურულ პროექტზე, ორ საელჩოზე, აეროპორტსა და ქიმიურ ნივთიერებათა საწარმოზე. საგულისხმოა, რომ თავდასხმის საშუალებას წარმოადგენდა **ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული**

სატვირთო. ამ დროისათვის ისლამური ჯიჰადის ორგანიზაცია (IJO) არის ბრალდებული მოცემულ შეტევაზე.

ამერიკის საელჩოს ინფრასტრუქტურებზე მიტანილი ტერორისტული თავდასხმა

1984 წლის 20 სექტემბერს ბეირუთში, ამერიკის საელჩოს შენობის გარე ნაწილზე მიტანილი იქნა ტერორისტული თავდასხმა, რომლის შედეგადაც 24 ადამიანი გარდაიცვალა. მოცემულ ტერორისტულ შეტევაზე ისლამის ჯიჰადის ორგანიზაციამ აიღო პასუხისმგებლობა (IJO), რაც აშშ-ის მიერ ინტერპრეტირებული იქნა ჰეზბოლას ქმედებად, რომელსაც ზურგს ირანი უმაგრებს. ტერორისტული შეტევა განხორციელდა **იგივე მეთოდით რაც წინა თავდასხმები.**

TWA-ის თვითმფრინავის გატაცება

1985 წლის 14 ივნისს კაიროდან სან-დიეგოსაკენ **სამგზავრო თვითმფრინავის რეისის გატაცების შემდეგ**, შიიტურმა დაჯგუფებებმა მოითხოვეს 700 შიიტი მუსლიმის განთავისუფლება ისრაელის ტყვეობიდან. კონფლიქტის გადაჭრა მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარკვეული მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნა. მოცემულ შეტევაში ჰეზბოლა თავის როლს უარყოფს.

ლიბანის მძევალთა კრიზისი

1982-1992 წლებში ლიბანის სამოქალაქო ომის დროს განხორციელებული მძევლების გატაცებათა სერია. მძევალთა უმრავლესობაც ამერიკელებს წარმოადგენდნენ და ტერორისტულ აქტს სულ მცირე 8 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მიუხედავად იმისა, რომ ჰეზბოლა მოცემულ გატაცებებში მონაწილეობის მიღებას უარყოფს, ამერიკის შეერთებული შტატების გაცხადებული პოზიციით ამ გატაცებებში როლი მიუძღვით ირანის, ისრაელისა და ჰეზბოლას სამხედრო დანაყოფებს.

თავდასხმა ისრაელის საელჩოზე ბუენოს-აირესში

1992 წლის 17 მარტის შეტევის შედეგად, ბუენოს-აირესში, ისრაელის საელჩოზე მიტანილი იერიშის დროს გარდაიცვალა 29, ხოლო დაშავდა 242 სამოქალაქო პირი. მოცემული შეტევა განხორციელდა **სატვირთო მანქანის დახმარებით.**

ებრაული კულტურული ცენტრის აფეთქება

1994 წლის 18 ივლისს ებრაული კულტურის სახლზე მიტანილი ტერორისტული შეტევის შედეგად გარდაიცვალა 85 ადამიანი და დაშავდა ასობით სხვა. დღეისათვის მოცემული ტერორისტული შეტევა არგენტინის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურად ითვლება. საგულისხმოა, რომ შეტევა განხორციელდა **სატვირთო მანქანის აფეთქებით.**

„ალას ჩირიკანას“ ავიახაზების თვითმფრინავის აფეთქება პანამაში

კოლონიდან პანამას მიმართულებით თვითმფრინავის რეისზე განხორციელებული შეტევის შეხედვით გარდაიცვალა 21 ადამიანი საიდანაც 12 იყო ებრაელი. პალესტინური დაჯგუფება „ანსარ ალაჰმა“ აიღო პასუხისმგებლობა მოცემულ შეტევაზე, რომელსაც ახლო კავშირი აქვქს ჰეზბოლასთან.

ხობარის კოშკის აფეთქება საუდის არაბეთში

1996 წლის 25 ივნისს ხობარის კოშკზე, რომელიც იმ დროისათვის საცხოვრებელ კომპლექსად გამოიყენებოდა კოალიციური სამხედრო სპეცოპერაციების დაჯგუფებისათვის, მიტანილი ტერორისტული შეტევის შედეგად გარდაიცვალა 19 ამერიკელი USAF პერსონალი.[48] შეტევა განხორციელდა **მანქანის საშუალებით.** 2020 წელს მოცემულ ტერორისტულ შეტევაზე პასუხისმგებლობა ირანსა და ჰეზბოლას დაეკისრათ.

[48] USAF – United States Air Force

2011 წლის აფეთქება სტამბოლში

ამერიკული და თურქული მხარე 2011 წლის მაისში, სტამბოლში განხორციელებულ ტერორისტულ შეტევაზე პასუხისმგებლობას ჰეზბოლას დააკისრა. ისრაელის ვერსიით მოცემული შეტევის მიზანს ისრაელის კონსულის, მოშე კიმჩის მკვლელობა წარმოადგენდა.

2012 წლის ბურგასის ტერაქტი

2012 წელს ბულგარეთის ქალაქ ბურგასში აფეთქდა ტურისტული ავტობუსი, რაზეც ტერორისტთა იდენტიფიცირების საფუძველზე, ბულგარეთის მთავრობამ პასუხისმგებლობა ჰეზბოლას დააკისრა. მოცემული შეტევის შედეგად, 2 ტერორისტი, ისრაელის 5 მოქალაქე და ავტობუსის მძღოლი გარდაიცვალა.

შაბაას სავარგულების ტერაქტი

2015 წლის 28 იანვარს, ჰეზბოლასა და ირანის სამხედროები ისრაელის სამხედრო კონვოიზე მიიტანენ თავდასხმას რასაც 2 ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო 7 მძიმედ დაშავდა.

რაფიკ ჰარირის მკვლელობა

2005 წლის 14 თებერვალს, ლიბანის ყოფილი პრემიერ მინისტრის რაფიკ ჰარირის, ესკორტზე **ხელნაკეთი ნაღმის საშუალებით** განხორციელდა შეტევა, რომლის შედეგადაც ყოფილი პრემიერ მინისტრი რაფიკ ჰარირი და 21 ადამიანი გარდაიცვალა. 2009 წლის გაეროს სპეციალურმა საგამოძიებო ტრიბუნალმა დაადგინა რომ ტერაქტში ჰეზბოლას როლი იკვეთება.

6. ჰეზბოლასთან ბრძოლის სტრატეგიები და საერთაშორისო გამოცდილება

ჰეზბოლას წინააღმდეგ ბრძოლა შეგვიძლია ორ კატეგორიად დავყოთ: ჩრდილოვანი ბრძოლა და ბრძოლა რბილი ძალის დახმარებით. მოცემული ბრძოლის ტიპი დამოკიდებულია იმაზე თუ ვინ იბრძვის ჰეზბოლას წინააღმდეგ.

6.1 ჩრდილოვანი ომის გამოცდილება

მოცემული ბრძოლის მეთოდი გულისხმობს ძალოვან ბრძოლას ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელშიც მოიაზრება ლიდერების ლიკვიდაცია და მათზე თავდასხმა. როგორც წესი, ლიდერთა ლიკვიდაცია ან ლიკვიდაციის მცდელობები პარტიზანული ბრძოლის ისეთი სტრატეგიებით ხდება, როგორიც არის ჩასაფრებული თავდასხმები და მძევლად აყვანა. ჰეზბოლაზე თავდასხმის მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ შემდეგნი:

1. ჰეზბოლას ლიდერის, მუჰამად ჰუსეინ ფადლალას, მკვლელობის მცდელობა ბეირუთში, 1985 წელს.
2. აბას ალ მუსავისა და მისი ოჯახის ლიკვიდაცია ისრაელის მიერ 1992 წლის 16 თებერვალს.
3. იმად მუღნიეს წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტი 2008 წელს, დამასკოში, რომლის შედეგადაც იგი დაიღუპა.
4. ჰასან ალ-ლაკისის მკვლელობა ბეირუთში წელს.
5. მუსტაფა ბადრ ად-დინის მკვლელობა დამასკოს საერთაშორისო აეროპორტთან აფეთქების შედეგად 2016 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში მოცემული მეთოდის საშუალებით ხდება სპეცოპერაციების წარმატებით განხორციელება და ლიდერთა მოშორება,

როგორც წესი, ეს უარეს შედეგებს იწვევს, რაც გულისხმობს ჰეზბოლას მხრიდან არაპროგნოზირებად ან უფრო აგრესიულ და გახშირებული ტერორისტული თავდასხმებს.

6.2 პირდაპირი და არაპირდაპირი ბრძოლა რბილი ძალის გამოყენებით

როდესაც ჰეზბოლას უშუალო მოწინააღმდეგედ სახელმწიფო ან საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის სუბიექტი გვყავს წარმოდგენილი, როგორც წესი საქმე გვაქვს რბილი ძალის გამოყენებასთან, რაც გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სანქციების პაკეტის გამოყენებას ლიბანის, ორგანიზაციისა და მათ მოკავშირეთა წინააღმდეგ. ჰეზბოლას წინააღმდეგ მოცემული მეთოდის გამოყენებით ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატები. ასეთი სანქციების მაგალითად შეიძლება ავიღოთ: სანქციები **ალი ჰასან ხალილისა** და **იოსუფ ფენიანოს წინააღმდეგ.** [49]

გარდა ამისა ამერიკის შეერთბული შტატების ზეწოლა საერთაშორისო საზოგადოებაზე და სანქციების ახალი პაკეტების აგიტაცია ირანის, ლიბანისა და ჰეზბოლას წინააღმდეგ.

როგორც წესი მოცემული სტრატეგია გათვლილია უფრო ხანგრძლივ პერიოდზე, თუმცა საკმაოდ დიდი ეფექტიანობით ხასიათდება.

[49] Khraiche,D. (2020) Bloomberg Online; *U.S. Sanctions Two Former Lebanese Ministers Over Hezbollah Ties; https://www.bloomberg.com/news/articles/2020-09-08/u-s-sanctions-two-former-lebanese-ministers-over-hezbollah-ties;* ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

7. ჰეზბოლა სამომავლო პერსპექტივა - სხვადასხვა მოსაზრებები

დღეისათვის ჰეზბოლა მზარდი ტენდენციებით ხასიათდება, თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია არამხოლოდ ჰეზბოლაზე, არამედ საერთაშორისო საზოგადოების პასუხზე მისი ზრდის მიმართ. მომავალზე საუბრისას პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ჰეზბოლა მიუხედავად იმისა რომ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს, მისი პოლიტიკური ფრთა ლიბანში ოპერირებს რაც გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური სანქციები ლიბანის წინააღმდეგ არაპირდაპირ მოქმედებს ჰეზბოლაზეც.

თუმცა, ახალი სანქციები ჰეზბოლას წინააღმდეგ, შესაძლებელია მისსავე მიერ გამოყენებული იქნას საკუთარ მხარდამჭერთა მობილიზაციისა და დასავლეთის მტრის ხატის კონცეფციის გაძლიერებაში.

ზოგიერთი ექსპერტი მოცემული სიტუაციიდან ჰეზბოლასთვის რაციონალურ ქცევად მიიჩნევს რესტრუქტურიზაციას და იგივე გზის გავლას რაც გაიარა PLO-მ. [50]

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰეზბოლას მეტწილად მხარს უჭერს სირია და ირანი, რაზეც პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული მისი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი. ამიტომაც, ჰეზბოლას მომავალზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები.

[50] n,d. (2020). Middle East Policy Council; *What is Hezbollah's Future in a New Lebanon?* ; https://mepc.org/commentary/what-hezbollahs-future-new-lebanon; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

დასკვნა

ჰეზბოლას დღეისათვის ყველაზე სახიფათო ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში „დამსახურებულად“ უკავია ადგილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰეზბოლას კვლევა მისი სტრუქტურის, სამხედრო პოტენციალის, ეკონომიკური სიმძლავრის და პოლიტიკური კავშირების გამო.

ჰეზბოლა შეიძლება ერთგვარ „ინოვატორად“ ჩაითვალოს ტერორისტული თავდასხმების განხორციელების ტაქტიკების შემუშავებაში. გარდა ამისა, იგი შეგვიძლია ერთ-ერთ ყველაზე პოლიტიკურად გავლენიან ტერორისტულ დაჯგუფებად მივიჩნიოთ, რომლის საქმიანობაშიც უდიდესი როლი მის მრავალელემენტიან და კომპლექსურ იდეოლოგიას უკავია.

მოცემული ორგანიზაციის მომავალი დღეისათვის ბუნდოვანია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ არ შეიმჩნევა ტენდენციები, რომლებიც მის შესუსტებაზე მიუთითებს. მასთან ბრძოლა კი ძირითადად ორი, ჩრდილოვანი მეთოდებით და რბილი ძალის დახმარებით მიმდინარეობს.

ჰეზბოლას მომავალზე საუბრისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მხარდაჭერთა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და გარდა ამისა, ახლო აღმოსავლეთსა და ლიბანში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები.

გამოყენებული ლიტერატურა

Parliament of Lebanon (1926); *Constitution of Lebanon* . https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/lb/lb018en.pdf ინტერნეტი ბოლო ნახვა 14 სექტემბერი,

n,d. ,AlJazeera (2017). *The Nakba Did Not Start Or End In 1948*. AlJazeera Online; https://www.aljazeera.com/features/2017/5/23/the-nakba-did-not-start-or-end-in-1948 ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 15 სექტემბეირ, 2020 წელი.

Jaquith, B.A (2019). *Operation Blue Bat* (1958): Framing Activities in Crisis Response. A Monograph by Major Brian A. Jaquith. US Marine Corps. Fort Leavensworth: School of Advanced Military Studies; US Army Command and General Staff College.

Norton, A. (2009). *Hezbollah A Short History*. Princeton: Princeton Unviersity Press. გვ. 33

Ministry of Foreign Affairs of Israel (1982). *Operation Peace for Galilee*. https://mfa.gov.il/MFA/AboutIsrael/Maps/Pages/Operation-Peace-for-Galilee.aspx ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 17 სექტემბერი, 2020 წელი.

United Nations Security Council (1982) *Resolution 509*. UNSCR Online. http://unscr.com/en/resolutions/doc/509 ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 20 სექტემბერი, 2020 წელი.

Robinson, K. (2020) Council of Foreign Relations (CFR) *What is Hezbollah*? https://www.cfr.org/backgrounder/what-hezbollah ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

Parliament of Lebanon (1989). *The Taif Agreement*. United Nations Online; https://www.un.int/lebanon/sites/www.un.int/files/Lebanon/the_taif_agreement_english_version_.pdf ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

United Nations Security Council (2004). *Resolution 1559.* UNSCR Online; https://www.un.org/press/en/2004/sc8181.doc.html; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

Stephen, R. (2006); William Paterson University. *Lebanon War Q&A.* https://www.wpunj.edu/cohss/departments/pol_sci/faculty/shalom/lebanon-war-question-and-answer.html; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

Alagha, J. (2006). *The Shifts in Hizbullah's Ideology: Religious Ideology, Political Ideology. Amsterdam: Amsterdam University Press*. გვ. 63.

Blanchard, M. C & Addis, C. L (2010). *Hezbollah: Background and Issues for Congress*. (გვ. 6) https://www.refworld.org/pdfid/4cc7c1612.pdf; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

Hezbollah (1958). *1985 Manifesto.*

Blanchard, M. C & Addis, C. L (2010). *Hezbollah: Background and Issues for Congress*. (გვ. 16) https://www.refworld.org/pdfid/4cc7c1612.pdf; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 26 სექტემბერი, 2020 წელი.

.n,d., Foundation For Defense of Democracies (FDD) (2005). *France Calls for EU Ban on Hezbollah's al-Manar Television;* https://www.fdd.org/analysis/2005/05/25/france-calls-for-eu-ban-on-hezbollahs-al-manar-television/; ინტერნეტი: ბოლო ნახვა: 27 სექტემბერი, 2020 წელი.

.n,d., Al Arabiya (2016); *Lebanese football player dies fighting for Hezbollah in Syria;* Al Arabiya Online; https://english.alarabiya.net/en/sports/2016/11/04/Lebanese-football-player-dies-fighting-for-Hezbollah-in-Syria.html; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 27 სექტემბერი, 2020 წელი.

Mohammed, A. (2007). Reuters; *North Korea May Have Aided Hezbollah: U.S. Report*; Reuters Online; https://www.reuters.com/article/us-korea-north-terrorism/north-korea-may-have-aided-hezbollah-u-s-report-idUSN126891920071213; ინტერნეტი. ბოლო ნახვა: 28 სექტემბერი, 2020 წელი.

n,d., Deutsche Welle (2020). DW Online; *German government bans Hezbollah — Interior Ministry*; https://www.dw.com/en/german-government-bans-hezbollah-interior-ministry/a-53287126; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

Stern, J. (2020) Atlantic Council Online; *Macron has the power to change the EU's Hezbollah policy;* https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/macron-has-the-power-to-change-the-eus-hezbollah-policy/; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

The National Archives (2000); *Terrorism Act 2000;* https://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/11/section/38B; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი

European Union (2007); *Treaty of Lisbon*; https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ:C:2007:306:TOC; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი

U.S Department of State (2020); *Designated Foreign Terrorist Organizations*; https://www.state.gov/foreign-terrorist-organizations/; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

Eye on Hezbollah (2020); Organizational Chart; https://hezbollah.org/organizational-chart; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

UN Office for the Coordination of Humanitarian Affairs (2006). *LEBANON: The many hands and faces of Hezbollah*; https://www.thenewhumanitarian.org/report/26242/lebanon-many-hands-and-faces-hezbollah; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

US Bureau of Alchohol, Tobacco, Firearms and Explosives (1995-2002); *Operation Smokescreen;* https://www.atf.gov/our-history/operation-smokescreen; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

Deutsche Welle (2014); *Germany outlaws support group with Hezbollah ties, raids offices nationwide*; https://www.dw.com/en/germany-outlaws-support-group-with-hezbollah-ties-raids-offices-nationwide/a-17551285; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

US Department of the Treasury (2011); *Treasury Identifies Lebanese Canadian Bank Sal as a "Primary Money Laundering Concern"*; https://www.treasury.gov/press-center/press-releases/Pages/tg1057.aspx; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

Agence France Presse (2006). *Analysis: Hezbollah a force to be reckoned with*

Cody, E. & Moore, M. (2006) WashingtonPost Online; *The Best Guerrilla Force in the World' Analysts Attribute Hezbollah's Resilience to Zeal, Secrecy and Iranian Funding*; https://www.washingtonpost.com/archive/politics/2006/08/14/the-best-guerrilla-force-in-the-

world-span-classbankheadanalysts-attribute-hezbollahs-resilience-to-zeal-secrecy-and-iranian-fundingspan/1107737d-a7c1-451a-b3ca-049c9320005c/; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

Keyes, C. (2011) CNN Online; *U.S. military needs flexibility due to poor predictions, Gates says;* http://edition.cnn.com/2011/POLITICS/05/24/gates.speech/index.html; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი

Hoeing, M. (2014) Federation of American Scientists*; Hezbollah and the Use of Drones as a Weapon of Terrorism*; https://fas.org/wp-content/uploads/2014/06/Hezbollah-Drones-Spring-2014.pdf; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი

Encyclopedia Britannica (n,d.); *Bosnian War*; https://www.britannica.com/event/Bosnian-War; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

n,d. (2014); BBC Online; *Syria conflict: Rebels release Fijian UN peacekeepers*; https://www.bbc.com/news/world-middle-east-29161884; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტმებერი, 2020 წელი.

Jones,G., S (2018) Center for Strategic and International Studies; *The Escalating Conflict with Hezbollah in Syria*; https://www.csis.org/analysis/escalating-conflict-hezbollah-syria; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

n,d., *AJC News and Analysis (2003). Hezbollah Incites Antisemitism – Factsheet 8*; https://www.ajc.org/news/hezbollah-incites-antisemitism-factsheet-8; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

n,d, The Jerusalem Post (2012) *"'Hezbollah could hit Europe at any time, with no warning'";* http://www.pressreader.com/israel/jerusalem-post/20120812/281573762845185; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

Khraiche,D. (2020) *Bloomberg Online; U.S. Sanctions Two Former Lebanese Ministers Over Hezbollah Ties*; https://www.bloomberg.com/news/articles/2020-09-08/u-s-sanctions-two-former-lebanese-ministers-over-hezbollah-ties; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.

n,d. (2020). *Middle East Policy Council; What is Hezbollah's Future in a New Lebanon?* ; https://mepc.org/commentary/what-hezbollahs-future-new-lebanon; ინტერნეტი; ბოლო ნახვა: 29 სექტემბერი, 2020 წელი.